

ISSN 0321—1509

ეროვნული ბიბლიოთეკა

645 / 1992/2

5•1992

საქართველოს რესპუბლიკის
ჟურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

ნაზი თარხამაძე,
ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნაზი კილასონია,
ლაშა კიკალეიშვილი,
გუჩა კვარაცხელია,
ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი),
ირმა ჩოფიკაშვილი,
ნინო ჯავახიშვილი,
ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — სოფიკო ჭიაურელი;
მეოთხეზე — გერმანელი მოდელიორების 1992 წლის კოლექცია. სლაიდები მოგვაწოდა პეპი გოჟორიშვილმა.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. № 14

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magazine for Women of the
Republic of Georgia



# ხატი

ქრისტიანის სარწმუნოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხატს. ეკლესიის ისტორიაში ხატი ცნობილია პირველი საუკუნიდან. გადმოცემის თანახმად, უფალმა თავისი სახე აღბეჭდა ტილოზე და ამ ხელთუქმნელ ხატს ეწოდა პირი ღვთისა. ძველი აღთქმის ეკლესიამ იცოდა ხატი ქერუბიმის სახით, რომელიც ღვთის ბრძანებით მოსე წინასწარმეტყველმა გააკეთებინა აღთქმის კიდობნის თავზე. ხატის გამოსახულება გვაკავშირებს მის პირველსახესთან, გარკვეული ფორმით და სიმბოლოებით იგი ინარჩუნებს რეალურობის ხასიათს, მიუხედავად პირობითობისა და ცხადყოფს სულიერ არსს. ხატი სულიერი აზროვნების ფორმა და სახეა.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქრისტიანობის ქადაგებასთან ერთად, საქართველოში პირველ საუკუნეებშივე ანდრია პირველწოდებულის ხელით მობრძანდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი. თანამედროვე ქართველს, ხშირ შემთხვევაში, აღარ ესმის ხატის ენა, დანიშნულება და მნიშვნელობა. ამის გამო გავრცელდა VIII საუკუნეში მხილებული და უარყოფილი ხატმებრძოლთა მწვალებლობის ის აზრი, რომელიც ხატში ხედავს კერპს და ივიწყებს მთავარს, რომ ღმერთი განცხადდა ჩვენთვის არა მარტო სიტყვით, არამედ გარკვეული სახითაც და რომ ღვთის მადლს ეზიარება ის, ვინც ხილული სახის საშუალებით უხილავ სულიერ არსს იმეცნებს. მრავალი ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღმერთი არს ჩვენთან

დავდა მაცხოვრის სახეს და ისმენდა მის სიტყვებს, მაგრამ მცირედმა ირწმუნა, რომ იგი განკაცებული ღმერთია. ამ თვალსაზრისით ხატი გაიგივებულია სახარებასთან, სახე სიტყვასთან, რადგან მათ ერთი სული აკავშირებს. ამასთან ერთად, ხატების საშუალებით ჩვენამდე მოაღწია მოციქულთა და წმიდანთა სახეების გამომეტყველებამ, რის გამოც ხატს ეკლესიური ერთობის ისტორიული მოწმობის მნიშვნელობაც მიენიჭა. წმიდანთა სხვადასხვა ხატებით ჩვენ ცხადად აღვიქვამთ ერთობას ქრისტიანთა წინა თაობებთან, მათ ტრადიციებთან, აზროვნებასთან, სულიერ ღვაწლთან და მათ სულებთან. რამდენადაც ხატი რწმენით გვაკავშირებს მის პირველსახესთან, სულიერ არსთან, იმდენად მას ღვთის მადლით სასწაულთმოქმედების ძალა ენიჭება. ჩვენ წმიდა წერილიდან ვიცით, რომ პეტრე მოციქულის ჩრდილიც კი კურნავდა იმათ, ვინც რწმენით ეხებოდა მას და უფრო მეტი ძალა არ ექნება მორწმუნისათვის მისი სახის დანახვას?..

მართლმადიდებელ ეკლესიაში მრავალი სასწაულმოქმედი ხატია ცნობილი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშია დაცული.

იერარქიული დამოკიდებულება არის როგორც ქვეყანაზე, ისე ზეცაში, ხატების განლაგება ტაძარში, კანკელზე თუ ოჯახში, სახატეზე, ზეციური იერარქიის მიხედვით ხდება. უპირატესია: მაცხოვრის, იესო ქრისტეს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის ხატები, შემდეგ წმიდა უსხეულო ზეციურ ძალთა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, წმიდა მღვდელმთავართა, მოწამეთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა ხატები. მორწმუნე ქრისტიანის ოჯახში სულ ცოტა, პირველი ორი ხატი უნდა იყოს. სახატეზე აუცილებელია: კანდელი, სასანთლე, ლოცვანი, ფსალმუნნი, სახარება ან მთლიანად ბიბლია, ნაკურთხი წყალი და სეფისკვერი, რომელსაც მორწმუნე დილით ლოცვის შემდეგ ღებულობს, რათა არა მარტო გონებამ და გულმა მიიღოს სიწმიდე, არამედ სხეულმაც. სახატე სახლი ყველაზე უფრო მყუდრო და განმარტოებულ ადგილზე უნდა იყოს, რომ ლოცვის დროს მორწმუნეს არ ეშლებოდეს ხელი და არც ის აბრკოლებდეს ოჯახის სხვა წევრებს, ან მოულოდნელად მოსულ სტუმარს. სახატეს გარდა, თითო-თითო ხატი შეიძლება სხვა ოთახებშიც იყოს. კარგია, თუ ბავშვის სასთუმალთან იქნება მისი მფარველი წმინდანის ხატი და ძილის წინ და გაღვიძების შემდეგ ლოცვით მიმართავს მას. უკეთესია, თუ სარწმუნოებრივ აღზრდას პატარაობიდანვე დავიწყებთ.

ქრისტიანული დღესასწაულების მიხედვით სახატეზე, გარდა მუდმივად დასვენებული ხატებისა, შეიძლება იყოს დროებით გამოტანილი შესაბამისი დღესასწაულის ხატი.

უნდა გვახსოვდეს, რომ სახატის მოწყობა და ხატების მხატვრული და ფულადი ღირებულებაც კი არ იხსნის ადამიანს, არამედ ჭეშმარიტი ქრისტესმიერი რწმენა, თაყვანისცემა ღვთისა რიდით და ჭეშმარიტებით, ხატი კი სარწმუნოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინება, შედეგი და საშუალებაა. რასაც რწმენით და სიყვარულით გააკეთებთ, კეთილი იქნება. უშუალოდ ლოცვის შესახებ საუბარი შემდეგ წერილში გვექნება.

მამა გიორგი (გამრეკელი)
თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორ-პროტოპრესვიტერი.

# რატომ სდის ხატებს მირონი?



სრულიად საქართველოს მოედო საოცარი ამბავი: მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში ხატებიდან მირონმა იწყო დენაო. სანამ სამთავროს გავემგზავრებოდით, სიონის ტაძარში სანთლის გამყიდველმა ქალმა გვიამბო: გადმოცემით ვიცი, 1921 წელს ღვთისმშობლის ხატის თვალებიდან ცრემლმა იწვიმაო. მას მერე რა დღეც დაადგა საქართველოს, ყველამ კარგად იცის. ბუნებრივია, არც ხატიდან მირონის გადმოსვლაა უმნიშვნელო მოვლენა, მით უმეტეს, დღეს, როცა ასე გვჭირდება ნუგეში.

დედათა მონასტერში საღამოხანს ჩავედით. მწუხრის ლოცვა დამთავრებულიყო. სრულიად ახალგაზრდა მონაზვნები გალობდნენ კანდელთან. საკუთრხეველთან ოთხი ხატია. რამდენიმე მნახველი ხელში ბამბით ხატის ზედაპირიდან იღებს გამოჟონილ ზეთოვან წვეთებს, რომელთაც ნაზი სურნელი აქვს. მონაზვნები ამბობენ, ამის გაკეთება არ შეიძლება, მირონმა უნდა იდინოს, თუ არა და, მღვდელი გცხებთო. აქაური ტაძრის მხატვარმა მამა ანდრიამ გვითხრა, რომ მსგავს მოვლენას საზღვარგარეთაც ჰქონია ადგილი, კერძოდ, კანადაში, ასევე-კიევშიც, პეჩორის ლავრაში. ხატებს სისველე ეტყობათ ღვთისმშობლის ხელებთან და მაცხოვრის ფეხებთან. მონასტერში დაცულია ღვთისმშობლის ცნობილი ხატი. მონაზონმა გვითხრა 9 აპრილის წინა დღეს ყრმა იესოს თვალიდან ცრემლმა გამოჟონაო. სამამულო ომის დღეებშიც გადმოსულა ცრემლი ღვთისმშობლის თვალიდან. კვალი ახლაც ამჩნევია. აი, ყველაფერი, რაც ვიხილეთ. ძნელია ახლა ამაზე დაწვრილებით ისაუბრო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მსოფლიოში მრავლადაა მირონმდინარე ხატები, რომელთა სრულიად მშრალ ფიცრებს მოხატული ზედაპირიდან ზეთის წვეთები გადმოდის, შეიძლება იფიქრო, რომ ხის თვისებაა ასეთი, თანაც ისეთი უნიკალური ჯიშის ხისა, რომელზედაც ხატს წერენ, მაგრამ ღვთის ნებისა და უფლის სურვილის გარეშე ხომ არაფერი ხდება ბუნებაში? მით უმეტეს, ჩვენთან, როცა ასეთი ზეციური მოვლენები წინასწარმეტყველებენ ხოლმე მოსალოდნელ ცრემლსა თუ სიხარულს. მირონი კარგიაო, ამბობენ, თუ ჩვენს ყოფაში გაიმარჯვებს გონიერება, სიმშვიდე, სიყვარული, ხალხი დაუბრუნდება შრომას, ოჯახს, სიკეთეს, მაშინ ვიტყვით, რომ ტყუილად არ დასდინდა სამთავროში ხატებს მირონი.

რუსუდან ნიკურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცოცხლე სიყვარულით იწყება



ბავშვი ტირილით იბადება. რა ატირებს? — შიში! რისა? — შემდგომი არსებობისა...

დედის წიაღში მას არაფერი აკლდა. ახლა იგი დაღუპვის წინაშეა და „სიკვდილს თვალებში შესცქერის"...

დაბადებამ სიკვდილი გააჩინა? დიახ, სწორედ ასეა. რა გადაარჩენს? — დედის ძუძუ! თუ დედას არ უყვარს? არსებობს კი ისეთი დედა საკუთარი შვილი არ უყვარდეს?

მაშ ყველაფერი რიგზეა! ამქვეყნიური სიცოცხლე დაიწყო! და დაიწყო სიყვარულით, რომელმაც იმთავითვე სიკვდილი უნდა დათრგუნოს!

რა ჰქვია ასეთ სიყვარულს? დედაშვილური სიყვარული, იგი ყოვლისშემძლეა, იმთავითვე მოცემული, უპირობო, უანგარო და ყველასათვის გასაგები.

რამ შექმნა სიცოცხლე, რომელიც ესესაა დაიბადა? — „განგების ნებამ". რით? — სიყვარულით, ცოლქმრული სიყვარულით.

არის ცოლქმრული სიყვარული ყოვლისშემძლე? — არა. იმთავითვე მოცემული? არა. უპირობო? — არა, უანგარო? — არა. ყველასათვის გასაგები? — არა.

მაშ გამოდის, რომ ცოლქმრული სიყვარული სიყვარულსავე წარმოშობს — სულიერ, დედაშვილურ სიყვარულს და სიყვარულის ეს ორი სახე არაფრით ჰგავს ერთმანეთს.

არსებობს სიყვარულის სხვა სახეებიც: მამაშვილური, დამური, ნათესაური, მეგობრის, ერის, სამშობლოს, საქმის, იდეის, სამართლიანობის, სილამაზის, ჭეშმარიტების და ა. შ. და ბოლოს, არსებობს ღმერთის სიყვარული.

ძნელია წარმოდგენა იმისა, რომ სიყვარულის ეს სახეები, სქესობრივი სიყვარულით იწყება, ანუ ბიოლოგიური კანონზომიერებიდან მომდინარეობს.

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მიწიერი და ზეციური, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური, სექსუალური და სულიერი, ეგოისტური და ალტრუისტული, ანგარებიანი და უანგარო განცდები, რომლებიც ჩვენშივეა თავმოყრილი. ვიცით და არც ვიცით, გვჯერა და არც გვჯერა, ვაკვირდებით საკუთარ თავს და ბევრი უპასუხო კითხვა გვიჩნდება.

ვიცით, რომ სიყვარული ჩვენი ემოციური მდგომარეობაა. ემოცია მთლიანპიროვნულია, რადგან ის „გულიდან მოდის", თავად გულს კი „სიცოცხლის ცენტრად" განვიცდით. ამდენად, სიყვარული ჩვენივე არსებობის, ჩვენივე სიცოცხლის განცდაა. უსიყვარულოდ სიცოცხლე არც არსებობს. აბა გაიხსენეთ გალაკტიონი:

უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.

და მაინც, გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, სიყვარულს ცხოველური საფუძველი აქვს. სექსუალური სიყვარულია, სიცოცხლეს რომ წარმოშობს და დედაშვილურ სიყვარულს ქმნის. მაგრამ, ჩვენ ისიც გვწამს და გვჯერა, რომ ადამიანი ღმერთმა შექმნა „ხატად თვისად", თიხისაგან გამოძერწა და თავისივე მარადიული სული შთაბერა.

სიყვარულის ბიოლოგიური მექანიზმები პირველად ზიგმუნდ ფროიდმა ახსნა. ამით მან მესამედ „სილა გააწნა" თავმოყვარე კაცობრიობას. პირველი შეურაცხყოფა კი კოპერნიკმა მოგვაყენა, რომელმაც დაამტკიცა, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრი კი არა, ჩვეულებრივი პლანეტაა, რომელიც მზის გარშემო ტრიალებსო. მეორე დარტყმა დარვინის თეორია იყო: ადამიანი ევოლუციისა და ბუნებრივი შერჩევის გზით ცხოველისაგან წარმოიშვაო. მესამე დარტყმა, როგორც ვთქვით, ფროიდს ეკუთვნის: ადამიანის ცნობიერება, მისივე არაცნობიერი, სექსუალური განცდებიდან მომდინარეობსო.

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდესო, — ამბობდა ალექსანდრე ჭავჭავაძე და მხედველობაში ჰქონდა ხორციელი სიყვარულის სიამენი. რუსთაველი კი გვასწავლის: სიყვარული აღგვამაღლებსო, რაც მონობისგან თავის დახსნას, სულიერი შესაძლებლობების გაფურჩქნას, ადამიანში ღვთიურ ძალთა გამობრწყინებას ნიშნავს.

ადამიანი რომ გაერკვეს თავის სასიყვარულო განცდებში, უნდა გაიგოს და გააცნობიეროს სიყვარულის ორივე ასპექტი. ინსტინქტურ-ბიოლოგიური და სულიერ-ფსიქოლოგიური, ეგოისტური და ალტრუისტული.

ეს ორივე დონე უნდა გაერთიანდეს, გაადამიანურდეს, რათა სექსუალური სიამენი ადამიანთა ურთიერთობის უმაღლეს სახედ, ორი ადამიანის სულიერ ერთიანობად, ადამიანურ სიყვარულად გადაიქცეს. ამას უპირველესად ყოვლისა სულიერი სიწმინდე ესაჭიროება და, რაც უფრო მთავარია, ესაჭიროება ადამიანი, როგორც ერთადერთი, განუმეორებელი სულიერი სინამდვილე, რომლისთვისაც თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის გაწირვაც შეიძლება. აი ნამდვილი სიყვარული, რომელსაც ღვთით მომადლებული ნიჭი ესაჭიროება — ნიჭი სიყვარულისა, დამიჯერეთ, არსებობს ასეთი რამ.

ცხოვრება იცვლება. იცვლება ადამიანის ყოფაც, მისი ძირითადი მორალური კრიტერიუმები, ქცევის ნორმები. შესაბამისად იცვლება მეცნიერული შეხედულებანიც. ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც ცხოვრება ადამიანის მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების გზით მიემართება, მაინც არ შეიმჩნევა მორალური პროგრესი, თავისთავად არ მოდის ნანატრი ბედნიერება, თავისთავად არ მოდის სიყვარული (ფართო გაგებით), პირიქით, ადამიანი თანდათან თავისთავში იკეტება, ხდება მისი იზოლაცია საზოგადოებისაგან, ხდება მისი გაუცხოება საკუთარი არსებობის მიმართ.

ჩვენთან მძაფრი კრიზისი მძვინვარებს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით მწვავედ განვიცდით, სიყვარულის დეფიციტს, მის უკმარისობას. ჩვენს ირგვლივ გულგრილობა, შური და აგრესიულობა გამეფდა. საქმე ძმათა შორის სისხლისღვრამდე მივიდა. ამიტომ დღეს განსაკუთრებით საჭიროა გამოვაფხიზლოთ სიყვარულის მიძინებული უნარი და ნურც ლამაზად გამოთქმულ ქართულ სიბრძნეს დავივიწყებთ: რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო.

სიყვარულში ადამიანური ცხოვრების არსია გამოვლენილი. ამიტომ ის ხელოვნების მარადიული თემაა, ისევე, როგორც რელიგიის საფუძველი. სიყვარულის მეცნიერული პრობლემები ბიოლოგიისა და თეოლოგიის მედიცინისა და სოციოლოგიის, ფსიქიატრიისა და ფსიქოლოგიის, და ბოლოს ფილოსოფიის შესწავლის საგნებია.

ჩვენს წერილებში, ჩვენივე სპეციალობიდან გამომდინარე, ვსარგებლობთ თანამედროვე ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული წყაროებით, ცნობილი ავტორებით: ფროიდით, ფრომით, ფრანკლით. ასევე ხელთა გვაქვს 1990 წელს მოსკოვში გამოცემული „სიყვარულის ანთოლოგიის" ორივე ტომი, რაღა თქმა უნდა, არც საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უარვყოფთ.

ასე რომ, ჩვენი პუბლიკაციები დაიწყო. წინამდებარე წერილი ჩათვალეთ სიყვარულის თემაზე შემოთავაზებული ციკლის შესავლად. მომდევნო ნომრებში ვისაუბრებთ სიყვარულის ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებზე. დასაწყისისათვის კი შევეხებით საინტერესო საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაისახა ადამიანში სიყვარულის გრძნობა, როგორ ამაღლდა იგი ცხოველური მოთხოვნილებიდან სიყვარულის სულიერ განცდამდე, რაც, ფსიქოლოგიურად, მის გაადამიანებას, მის სიყვარულის საგნად და არა მხოლოდ საგნად, სიყვარულის შემოქმედად ჩამოყალიბებას ნიშნავს.

**თენგიზ აბრამიშვილი,**
ექიმი-ფსიქიატრი

20037

# ტესტი

## იცნობთ თქვენს მეუღლეს?

სანამ რაიმეს წამოიძახებდეთ, გულდასმით წაიკითხეთ ეს ტესტი. მოცემულ კითხვებზე პასუხების სისწორე შეამოწმეთ მეუღლესთან და დაიწერეთ ქულები. თითოეულ სწორ პასუხზე გეწერებათ 1 ქულა, არასწორზე კი — 0.

1. მეუღლის საყვარელი საქმიანობა?
2. რა სახის ლიტერატურას კითხულობს უფრო ხშირად?
3. ვის მისცა ხმა ბოლო არჩევნებზე?
4. რა ზომის ფეხსაცმელს, ტანსაცმელს იცვამს?
5. საყვარელი ხილი?
6. ვის თვლის უახლოეს მეგობრად?
7. რას აგროვებდა ბავშვობაში?
8. მუსიკის რომელი ჟანრი იზიდავს?
9. განსაკუთრებით რომელი ტელეგადაცემა მოსწონს?
10. რისი გაკეთება სძულს ყველაზე მეტად ოჯახურ საქმიანობაში?
11. უკაცრავად, თქვენი მეუღლის წონა?
12. როგორ ფიქრობთ, ახსოვს თქვენს მეუღლეს, სად შედგა თქვენი პირველი პაემანი?
13. წელიწადის რომელ დროს არჩევს?
14. რამდენ ხანში ერთხელ იბანს თავს თქვენი მეუღლე?
15. გასართობად სად უფრო ისურვებდა წასვლას?
16. რომელი დღესასწაული უყვარს ყველაზე მეტად?
17. რომელი მარკის მანქანა მოსწონს? და თუ ფერსაც გამოიცნობთ, თქვენ დაგეწერებათ პრემიალური ქულა (დამატებით ერთი ქულა).
18. მისი საყვარელი სუნამო?
19. ყველაზე მეტად რა ესიამოვნება თქვენგან?
20. რა შეიძინა თავისთვის ბოლო ხანებში?

### თქვენი პასუხების შედეგი:

1. 18 ქულაზე ზემოთ: შეგიძლიათ იამაყოთ, თქვენ შესანიშნავად იცნობთ მეუღლეს.

2. 14-17: არაუშავს, მაგრამ ცოტა მეტი ყურადღება გჭირდებათ. უმჯობესია უკეთ იცნობდეთ მას.

3. 14-ის ქვემოთ: თქვენ ძალიან ცუდად იცნობთ ცხოვრების მეგზურს, გირჩევთ ამ წუთიდანვე შეუდგეთ მის შესწავლას, თუ გსურთ უსიამოვნება აიცილოთ თავიდან.

ტესტი ამოღებულია კემბრიჯის უნივერსიტეტის ტესტებიდან

მოამზადა **თინათინ ჩხიკვაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ნარიყალას" ნაწარმით რომ გაიგებთ, ცივად ნუ შებრუნდებით. დიდი ცვლილებების მერე ეს საწარმო მზარიან პროდუქციას უშვებს. შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ ამაში.

# პირველი

ასე შეიძლება შევარქვათ თბილისის ფეხსაცმლის საწარმოს „ნარიყალას", რომელიც ჯერ კიდევ მაშინ შეუდგა საპრივატიზაციო ალმართს, როცა საქართველოში ამის თაობაზე მხოლოდ ლაპარაკობდნენ. თქვენ საქმე მოიკითხეთ, თორემ ლაპარაკის პრაქტიკა რომ მსოფლიო სტანდარტის დონეზე გვაქვს, იმაში ეჭვი არავის ეპარება. აქ კი სხვებისაგან გამორჩევით სწორედ საქმეს მოჰკიდეს ხელი. თუმცა, ალბათ, უფრო უპრიანია თვით საწარმოს თავკაცს, ბატონ თამაზ სიგუას მოვუსმინოთ.

— ვისაც ჩვენს ფაბრიკასთან ოდესმე საქმე ჰქონია, კარგად მოეხსენება, რა დღეშიც ვიყავით. ამ საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, როცა იგი თურმე ბამბის საპენტი ქარხნიდან ფეხსაცმლის ფაბრიკად გარდაიქმნა, არავის გახსენებია მისი გაახალგაზრდავება. ამიტომ საამქრო საამქროს აღარ გავდა და დანადგარი — დანადგარს. ყველაფერი ისე იყო მოძველებულ-მორყეული და ჩამოფხავებული, რომ „ავ თვალს" არ დაენახვებოდა.

რაღაცა უნდა გვეღონა და ჩვენც თვალი იმ სიახლისკენ გაგვექცა, რომელიც კერძო საკუთრებისკენ გვიხმობდა. იმ ხანად მართალია, არ იყო კანონი, მაგრამ იყო რეკომენდაციები და კონკრეტული მაგალითები. მხედველობაში მაქვს მთელ საბჭოეთში ერთ-ერთი პირველი პრივატიზებული საწარმო — სტავროპოლის მეფრინველეობის საბროილერო ქარხანა, რომლის ცხოვრებითაც დავინტერესდით. არა მარტო დავინტერესდით, მისი გამოცდილება ჩვენს პირობებსა და სპეციფიკას მოვარგეთ, სამოქმედო პროგრამა შევადგინეთ და სამინისტროში კონკრეტული წინადადებებით წარვსდექით.

ვერ ვიტყვი, რომ იქ ჩვენს წამოწყებას ლტაცებით შეხვდნენ. იყო ეჭვები, შიში, რასაც დაემატა სამინისტროს თანამშრომელთა ბიუროკრატიზმი და საქმეც ერთგვარად გაჭიანურდა. თუმცა ეროვნული მოძრაობა წამოგვეწია და ჩვენც გვეშველა. 1990 წლის 26 დეკემბერს რეგისტრაციაში გავტარდით. ამ დღეს რესპუბლიკაში შეიქმნა პირველი პრივატიზებული — ფეხსაცმელის მოდელირებისა და წარმოების კოლექტიური საწარმო „ნარიყალა".

**ეს უკვე განვლილი საუბურია, ასე ვთქვათ, ისტორია. მკითხველს კი, ალბათ, უფრო მეტად ის აინტერესებს, პრივატიზაციამ რა ცვლილებები შეიტანა საწარმოს მუშაობაში, მისი კოლექტივის ცხოვრებაში. მოხდა კი რაიმე ისეთი, აქაურ მშრომელს სიკეთედ რომ დაენათლა?**

— მოხდა და თანაც როგორი. ადრე საწარმოს მთელი ავლადიდება სახელმწიფოს ეკუთვნოდა და იმ ქონებასაც და კოლექტივსაც, მას როგორც მოეპრიანებოდა, ისე მართავდა. ახლა თვითონ კოლექტივი გახდა საწარმოსა და თავისი თავის ბატონ-პატრონი. ისე აღარ არის, სახელმწიფო მთლიანად რომ დახვეტავდა ფაბრიკის კუთვნილ მოგებას და მუშაკაცს აღარაფერს უტოვებდა. ამჟამად თავიანთ შონაგებს უნდათ მთლიანად წარმოების განვითარებას მოახმარენ და უნდათ — კოლექტივის კეთილდღეობას.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, დაინტერესება დიდია, მით უფრო, რომ წარმოების მესაკუთრე გახდა მთელი კოლექტივი და არა რომელიმე პიროვნება. საწარმო არ გაყიდულა აუქციონზე, მისი მფლობელი არ გამხდარა ვინმე მილიონერი, რომელსაც შეეძლო წასულიყო კოლექტივის საწინააღმდეგო დინებით, არ გაეთვალისწინებინა მისი სურვილები და მისწრაფებები.

აქ პირიქით მოხდა. საწარმოში პირწმინდად ალნუსხეს მუშაკთა თანრიგი, სტაჟი, კვალიფიკაცია და ამის მიხედვით გაინგარიშეს მათი წილი ანუ დივიდენდი საერთო საკუთრებაში. სათაო საწარმოში ასეთი 294 კაცი აღმოჩნდა. ეს ის ხალხია, ვინც პრივატიზაციამდე უკვე მოასწრო „ნარიყალაში" რაღაც დოვლათის შექმნა. მათზე დივიდენდი გაიცემა იმის მიხედვით, თუ საწარმო წლიურად რა რაოდენობის მოგებას დააგროვებს. თუ მოგება დიდი იქნა, მუშაკმა შეიძლება თავისი წილი თანხის ათი და მეტი პროცენტიც მიიღოს.

ამოჭერი და შეინახე

# რჩევები დიასახლისებს

● ბრინჯის ფაფა გემრიელი რომ გამოვიდეს, საჭიროა ჭამის წინ მასში ჩავდოთ ჩანგლით ათქვეფილი კვერცხის ცილა.

● ფაფის მოხარშვა არ რის მიზანშეწონილი მომინანქრებულ ქვაბში, რადგან ფაფა შეიძლება მიეწვას და მოფხეკის დროს მინანქარი გადავიდეს საჭმელში.

● კისელი არომატული და გემრიელი გამოვა, თუ ჭიქებში დასხმის შემდეგ დავამატებთ ლიმონის ან ფორთოხლის ქერქს, დარიჩინს ან ვანილს.

● კისელმა ნალები რომ არ მოიყენოს, კარგი იქნება ზედაპირზე მოვაყაროთ შაქრის ფხვნილი.

● კატლეტი უმჯობესია შევწვათ დაბალ ცეცხლზე.

● თუ გვსურს, რომ კატლეტები გამოვიდეს რბილი, წვნიანი და ფუმფულა, საჭიროა ფარშს დავუმატოთ გახეხილი კარტოფილი ან არაჟანი და დაგუნდავებისას ყოველ მათგანში ჩავდოთ ცოტა კარაქი ან ერბო.

● ხორცის ფარში წვნიანი გამოვა, თუ მოზელვისას დავუმატებთ ძალიან ცივ წყალსა და ცხიმს.

● დაბეგვილი კატლეტი, შნიცელი და ბიფშტექსი რბილი და ნაზი გამოვა, თუ შეწვამდე ორი საათით ადრე დავასველებთ ძმრისა და მცენარეული ზეთის ნარევში.

● ყავის მოდუღებამდე საჭიროა ყავის მარცვლების „გაახლება" ანუ რამდენიმე წუთით მათი მოხალვა პატარა ტაფაზე. მოხალვისას საჭიროა მორევა და თუ დიდხანს ვხალავთ, ყავის მარცვალი მწარე გემოს დაიკრავს.

● თუ დაუფქვავი ყავა დიდხანს გქონდათ შენახული და დაკარგა არომატი, ჩაყარეთ მარცვლები ცივ წყალში, საათნახევარი გააჩერეთ და ამოღებისთანავე გამოაშრეთ ჰაერღუმელში.

მოხალული თბილი ყავა ჩაყარეთ საფქვავში და დაფქვით.

● ყავის დუღილი არ შეიძლება — დაეკარგება გემო და არომატი. თუ ლაპარაკში გაერთეთ და მაინც აგიდუღდათ, სასწრაფოდ ჩამოიღეთ ცეცხლიდან და ჩააწვეთეთ რამდენიმე წვეთი ცივი წყალი.

● ყავა უფრო გემრიელი იქნება თუ ადუღებისას ჩაყრით ცოტა მარილს და ჩაასხამთ გამთბარ ჭიქებში.

● თუ ძველი ქათამი შემოგაპარეს, გულს ნუ გაიტეხთ. საჭიროა შეწვის წინ ცოტახნით ჩაუშვათ რძეში ან არაჟანში.

● ლიმონი რამდენიმე კვირას ცოცხლად შეინახება, თუ ქილებში ჩააწყობთ, წყალს დაასხამთ და მაცივარში შედგამთ.

● თუ ლიმონი რამდენიმე თვით გნებავთ შეინახოთ, გაახვიეთ ისინი პერგამენტის ან სიგარეტის ქაღალდში და ჩადეთ მშრალ ქვიშაში.

● ლიმონისაგან მეტი წვენი რომ მივიღოთ, გაწურვამდე 5 წუთით ჩააგდეთ ცხელ წყალში.

● მზესუმზირის ზეთი რომ არ გაფუჭდეს, საჭიროა მასში ჩავასხათ ცოტაოდენი არაყი ან თაფლი, მოვხუფოთ ბოთლი და შევინახოთ გრილ ადგილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერცხალი



ეს მართლაც კარგი სტიმულია, მაგრამ რა ქნას იმან, ვინც საწარმოში გვიან მოვიდა? დებულების თანახმად, მან ორი წელიწადი უნდა იმუშაოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს საკუთრებაში გაწევრიანების უფლებას. მაგრამ ამ პერიოდში მან ეს თუ ვერ დაიმსახურა, არ შექმნა გარკვეული ღირებულების პროდუქცია, შეიძლება მიღებაზე კოლექტივმა უარიც უთხრას. ასეთი პირობა მუშაკს თავიდანვე განაწყობს იმისათვის, რომ კოლექტივს მხარში ამოუდგეს, იშრომოს სინდისიერად, შექმნას დოვლათი, რომელიც მასაც მოუტანს სარგებლობას და საწარმოსაც.

არ არის გასაკვირი, რომ ასეთ პირობებში ფაბრიკიდან წასვლაზე გული აღარავის მიუწევს. ადრე კი აქ კადრების დენადობა 80—85 პროცენტს აღწევდა. შარშან მხოლოდ ორი მუშაკი წავიდა საწარმოდან, მაგრამ არა საკუთარი სურვილით. მათ შრომის განაწესი დაარღვიეს და თვით კოლექტივმა აღარ ისურვა მათთან მუშაობა.

მაგრამ თუ მაინც გამოჩნდა საწარმოდან წასვლის მსურველი? ასეთ დროს მეპაიე თავის წილ თანხას მიიღებს. პენსიაზე გასულ მუშაკსაც სამი თვის მანძილზე ეძლევა პაი, ხოლო თუ პენსიონერია და მაინც აგრძელებს მუშაობას, პენსიაზე დანამატს იღებს. აქ სხვა სიკეთითაც სარგებლობენ — კოლექტივის გადაწყვეტილებით ფაბრიკაში შვებულება 35 კალენდარულ დღემდე გახანგრძლივდა. ეს განსაკუთრებით მოსწონთ მეოჯახე ქალებს, დედებს, რომლებიც საწარმოში არც თუ ცოტანი არიან. ხელფასიც სოლიდურია — მუშათა დიდი ნაწილი ორი ათას მანეთსა და მეტსაც გამოიმუშავებს.

მარტო ეს არ არის. მოკლე დროში მთლიანად განახლდა საამქროები, შეიცვალა საწარმოს ფასადი, მიმდინარეობს ტექნიკური გადაიარაღება. შეიქმნა პირობები, როცა აღარც ქალს ეზარება შრომა-გარჯა და აღარც კაცს.

ეს რაც შეეხება კოლექტივს, მაგრამ არც სახელმწიფო დარჩენილა წაგებული. ამ ერთიბეწო საწარმომ, რომელიც ერთთავად ვალებში იხრჩობოდა, შარშან მილიონობით მანეთი შემატა ადგილობრივ ბიუჯეტს. ეს ურიგო არ უნდა იყოს ჩვენი გაბერწებული ეკონომიკისათვის.

— მაგრამ რა მოიგო იმან, ვისთვისაც პროდუქცია იქმნება? აქ ძირითადად უნდა ვიგულისხმოთ ბავშვები, რომელთა ფეხსაცმელს საწარმოში გამოშვებული პროდუქციის მთელი 80 პროცენტი უჭირავს. მაგრამ სად არის ეს პროდუქცია, მაღაზიებში ხომ პატარების ჩასაცმელს თითქმის ვერ შეხვდებით?

— სწორედ რომ ასეა, მაგრამ რა ქნას ამ პატარა საწარმომ თუ მისი შესაძლებლობანი სამომხმარებლო მოთხოვნას კბილის ქარადაც არ წვდება? გამოვტყდეთ, დღევანდელი დეფიციტის პირობებში, ამ პრობლემას მარტო ეს საწარმო, სხვაგან სულაც რომ არ გაიტანოს პროდუქცია, მაინც ვერ გადაწყვეტს.

არის მეორე სატკივარიც — ხარისხი. დებიუტანტმა ამ პრობლემასაც არ მოაკლო მზრუნველობა, მაგრამ საკუთარი ძალებით ეს საკითხიც ვერ მოაგვარა მთლიანად. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ვერც გადაწყვეტს, ვიდრე საბაზრო ეკონომიკა არ ამოქმედდება და მბრძანებლად და მეუფედ კონკურენცია არ მოგვევლინება. საწარმო, რომელსაც დღეს ბავშვის ფეხსაცმელზე მონოპოლია აქვს, ხარისხზე თავს იმდენად რატომღა აიტკივებს?

კარგად არის ნათქვამი: ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. ეს უდავოა, მაგრამ ამ ერთის დაწყებული საქმე რომ სხვებსაც სასიკეთოდ წაადგება, არც ამაში უნდა შეგვეპაროს ეჭვი. თვით „ნარიყალაში“ კი იმისთვის ემზადებიან, რომ სააქციო საზოგადოება შექმნან და მთელი საწარმოს ქონება მისი კუთვნილება გახადონ. მაშინ, ცხადია, აქციონერს მეტი ქონებაც ექნება და მოქმედების მეტი თავისუფლებაც.

ოთარ ხუციშვილი

---

არაბული კალენდარი

ციური ეტლების მიხედვით

## ადამიანის ბედნიერი და ნავსიანი დღეები

**ვერძი**

ბედნიერი დღე — სამშაბათი
ნავსიანი დღე — ორშაბათი

**ლომი**

ბედნიერი დღე — კვირა
ნავსიანი დღე — შაბათი

**მშვილდოსანი**

ბედნიერი დღე — ხუთშაბათი
ნავსიანი დღე — შაბათი

**კურო**

ბედნიერი დღე — პარასკევი
ნავსიანი დღე — სამშაბათი

**ქალწული**

ბედნიერი დღე — ოთხშაბათი
ნავსიანი დღე — პარასკევი

**თხის რქა**

ბედნიერი დღე — შაბათი
ნავსიანი დღე — ოთხშაბათი

**ტყუპიბი**

ბედნიერი დღე — ოთხშაბათი
ნავსიანი დღე — პარასკევი

**სასწორი**

ბედნიერი დღე — პარასკევი
ნავსიანი დღე — შაბათი

**მერწყული**

ბედნიერი დღე — შაბათი
ნავსიანი დღე — პარასკევი

**კირჩხიბი (კიბორჩხალა)**

ბედნიერი დღე — ორშაბათი
ნავსიანი დღე — ოთხშაბათი

**ღრიანკალი (მორიელი)**

ბედნიერი დღე — სამშაბათი
ნავსიანი დღე — ოთხშაბათი

**თევზი**

ბედნიერი დღე — ხუთშაბათი
ნავსიანი დღე — შაბათი

ეროვნული ბიბლიოთეკა





ირინა სარიშვილი დაიბადა თბილისში 1963 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის განხრით.

1988 წლის დასაწყისში გახდა მაშინდელი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი, ხოლო 1988 წლის ზაფხულიდან, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იატაკქვეშეთიდან გამოვიდა — ამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და მისი პრეს-მდივანი.

დღეს ირინა სარიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგარეო საქმეთა კომისიას ხელმძღვანელობს.

# საკუთარი სულის გადასარჩენად

**— ქალბატონო ირინა, თქვენ, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტმა, პოლიტიკური მოღვაწეობა აირჩიეთ. ეს თქვენი მომავალი მეუღლის, გია ჭანტურიას გავლენით ხომ არ მომხდარა?**

— პოლიტიკა ყოველთვის მიზიდავდა, მაგრამ უშუალოდ ჩართვა მაშინაც კი არ მიფიქრია, როცა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი გავხდი, უფრო დისიდენტური სამართალდაცვითი თუ პატრიოტული მოღვაწეობის სურვილი მქონდა. გია ჭანტურია პირველი პოლიტიკოსი იყო, რომელიც მე გავიცანი. გიას საშუალებით ამ პროფესიას არამოყვარულის თვალით დავუწყე ყურება და გაცილებით მეტი დავინახე. გიას პოლიტიკისადმი სიყვარული მეც გადმომედო. მაგრამ პოლიტიკაში რომ ჩემი ადგილი არ მეპოვნა, გიას გვერდით მაინც ვიქნებოდი. ხელს შევუწყობდი საქმიანობაში, პროფესია კი ის მექნებოდა, რასაც ჩემთვის შესაფერისად ჩავთვლიდი.

**— თქვენი მეუღლე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერია, თქვენ — პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ოჯახში რომელი ლიდერობთ?**

— ოჯახში ლიდერი არ გვყავს. ჩვენი პირადი ურთიერთობა საქმეზე არ ვრცელდება. მე ვთვლი, რომ ოჯახში კაცმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, ქალმა — თავისი.

**— გრჩებათ თუ არა დრო, ყურადღება მიაქციოთ გარეგნობას, მოუაროთ ოჯახს, მეუღლეს და მისგანაც მოითხოვოთ მეტი ყურადღება?**

— მას შემდეგ, რაც გიას მშობლებთან ვცხოვრობთ, ოჯახის მოვლაზე პრაქტიკულად დრო არ მეხარჯება. ეს ჩემი დედამთილის, ქალბატონ ლილი მარჯანიშვილის დამსახურებაა. ცალკე რომ ვცხოვრობდეთ, ვფიქრობ, დიასახლისობასაც შევძლებდი. ამის დიდი სურვილიც მაქვს, რადგან ვთვლი, რომ ადამიანი — ქალიც და კაციც სრული ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს და მაქსიმალურად იყოს საკუთარ თავზე დამოკიდებული. რაც შეეხება იმას, ვაქცევ თუ არა ჩემს გარეგნობას სათანადო ყურადღებას, ეს ქალის უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ შემთხვევაში. ვიცი, რომ საამისოდ ჩვენს ქალებს ცუდი პირობები აქვთ, მაგრამ, რას იზამ, უნდა გაიჭირვო და ყოველთვის კარგ ფორმაში იყო. რაც შეეხება მეუღლისგან მეტი ყურადღების მოთხოვნას, რა თქმა უნდა, არც უამისობაა, მაგრამ ამ მხრივ, ვფიქრობ, არც თუ ცუდად მაქვს საქმე. მით უფრო, ქმარი ყოველთვის მეტ ყურადღებას ითხოვს, ვიდრე თვითონ აქცევს ცოლს. მამაკაცების საერთო სენია და ამაზე წუწუნს აზრი არა აქვს.

**— როგორ ფიქრობთ, ამ ეტაპზე სრულად შესძელით თქვენი, როგორც პოლიტიკოსის შესაძლებლობების რეალიზება?**

— სამწუხაროდ, ვერ შევძელი. მე მხედველობაში მაქვს იმის რეალიზება, რაც დღეისთვის იყო შესაძლებელი, თორემ სრული რეალიზება, ალბათ, ისედაც ნაადრევია და ამან შეიძლება მთელი ცხოვრება წაიღოს. რატომ ვერ შევძელი? პირველ რიგში, იმიტომ, რომ მე ქალი ვარ და საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ქალის კულტია, ჩვენს საქმეში ქალს ნაკლები ნდობით უყურებენ. შესაძლებლობების სრულ რეალიზებაში ასევე ხელი შემიშალა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, გია ჭანტურიას ცოლობამ. რადგან კარგა ხანს მტერიც და მოყვარეც ჩემში მხოლოდ გიას მეუღლეს ხედავდა. იყო დრო, როცა ნერვებმა მიმტყუნა და ამ მიზეზით პოლიტიკიდან წასვლაც კი ვიფიქრე, მაგრამ ისევ გიას მხარდაჭერამ გამაძლებინა. დღეს, ვფიქრობ, ეს პრობლემა უკვე აღარ არსებობს, ჩემი, როგორც პოლიტიკოსის მიმართ, ნდობაც გაჩნდა, მაგრამ ყოველივე ამან დიდი ენერგია და ნერვება წაიღო, რაც შეიძლებოდა უფრო სასარგებლო საქმეს მოხმარებოდა.

**— თქვენი პარტია, ალბათ მონაწილეობას მიიღებს მომავალ არჩევნებში და მოსალოდნელია გარკვეული ადგილებიც დაიკავოს პარლამენტში. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში თქვენი პარტიის ლიდერმა უარი განაცხადა არჩევნებში პირადად მის მონაწილეობაზე, რა არის ამის მიზეზი და თქვენ თავად რას აპირებთ?**

— მე სახელმწიფო სტრუქტურებში ვაპირებ მუშაობას. შეიძლება არჩევნებში მივიღო მონაწილეობა, შეიძლება აღმასრულებელ ხელისუფლებაში საქმიანობა ვარჩიო, ამაზე კიდევ ვიფიქრებ. ნებისმიერ შემთხვევაში, საგარეო საქმეთა სფეროში ვაპირებ მუშაობას.

**— ცნობილია, რომ ქართველ ქალს თანდაყოლილი დიპლომატიის ნიჭიც ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, დღეს შეუძლია ქართველ ქალს დაპირისპირებულ ძალთა შორის მშვიდობიანი მისია შეასრულოს?**

— დღეს ქართველ ქალს თავისი ნამდვილი სახე, ქალის სახე დაკარგული აქვს. ე. წ. „კარვის ქალების“ მოვლენა, რომლის შემდეგაც ლამის კარგ ტონად იქცა ქართველ ქალზე აუგის თქმა, ჩემი აზრით, ლოგიკური შედეგი იყო იმისა, რაც ჩვენს ქალებს კარვებამდე ბევრად ადრე დაემართათ. თავიდათავი მიზეზისა, ალბათ ის არის, რომ ქართველ ქალს პირადი ცხოვრება არა აქვს, თუნ-



29

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ქმარი და ათი შვილი ეხვიოს თავზე. გულზე ხელი დავიდოთ და პირდაპირ ვთქვათ — რისთვის, რა მიზნებით, ოცნებებითა და სურვილებით ვცხოვრობთ ქალები? დღევანდელი ტიპიური ქართველი ქალი, ჩემი აზრით, ორ კატეგორიად იყოფა: ნაწილი აქტიურად ებმება ცხოვრებაში, მაგრამ ებმება არა თავისი პიროვნებით, არამედ იმ კონკრეტული წრისათვის მისაღები და მოდური ინტერესების ფარისევლური გაზიარებით, ასე ვთქვათ, „კაიტიპობს" და ეს საბოლოოდ მისი ცხოვრების წესი ხდება. შემდეგ თხოვდება და ახლა მთლიანად ქმრის ინტერესებს სწირავს საკუთარ პიროვნებას. მეორე კატეგორია გათხოვებამდე მხოლოდ ინერციით, ფართო საზოგადოებისათვის მისაღები ნორმებით ცხოვრობს (შეიძლება პარალელურად უმაღლეს განათლებასაც იღებს). შემდეგ გათხოვდება, ასე ვთქვათ, პატრონს ჩაბარდება და მორჩა მისი ქალობა! აღარც ჩაცმაზე ფიქრობს, არც რაიმე საქმე აინტერესებს, სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ინერციით უვლის შვილებს, ცხოვრობს ქმართან, საკუთარი არაფერი გააჩნია და სულიერი ცხოვრებით აღარ ცხოვრობს. აი, ეს არის დღევანდელი ქართველი ქალის ფსიქიკა. ჩემი აზრით, ქალის ფსიქიკის მსხვრევა დიდი ხანია დაიწყო და მიზეზი ამისა, ვფიქრობ ის არის, რომ ქართველმა ქალმა, საერთოდ, ქართველმა საზოგადოებამ თავის დროზე უარი თქვეს ტრანსფორმაციაზე, როგორც ჩანს, ტრადიციების დაკარგვის შიშით. არადა, სწორედ ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის აუცილებელია ცნობიერების განსაზღვრული ტრანსფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი ვალის მოხდის მიზნით მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებს ამ ტრადიციას, შინაგანად კი იმსხვრევა, საბოლოოდ კი იმ სურათს ვიღებთ, რაც დღეს გვაქვს — აღარც ტრადიცია, აღარც ქალი ქალის სახით. სწორედ მოშლილი ფსიქიკის შედეგია ის, რომ ქართველ ქალს გაუჩნდა მოთხოვნილება, ვიღაცას ან რაღაცას საკუთარი პიროვნება, სული შესწიროს. ქმარს, შვილს, იდეას შეიძლება სიცოცხლეც ანაცვალო, მაგრამ არა პიროვნება, არა სული, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის და რომელსაც პატივი უნდა სცეს მეუღლემაც, შვილმაც, რადგან ქმარსაც და შვილსაც სწორედ ასეთი მეუღლე და დედა ურჩევნია. არის მეორე უკიდურესობა, რომელიც დასავლეთში მძვინვარებს — ეს არის ფემინიზმი, რაც ჩემი აზრით, არანაკლებ შეურაცხყოფას აყენებს ქალს, ვიდრე საკუთარი პიროვნების იგნორირება. დღეს ჩვენთან ეს პრობლემა არ დგას. მაგრამ თუ დროზე არ მივხედეთ თავს, სავსებით მოსალოდნელია, რომ არანორმალურმა მდგომარეობამ უკვე ამ ფორმით ამოხეთქოს. რასაკვირველია, საქართველოს ქალებს ძალზე ცუდი პირობები აქვთ, მაგრამ, უნდა ავიტანოთ და ყველაფერი გავაკეთოთ საკუთარი სულის გადასარჩენად. ამის შემდეგ შეგვეძლება ქართველი ქალის რომელიმე მისიაზე, მით უმეტეს, მშვიდობიან მისიაზე საუბარი.

ესაუბრა **ირმა ჩოფიკაშვილი**



# სიმღერით შემოიარა

„როდესაც გამოჩენილი მომღერლის ნანული აბესაძის ხმას ვისმენ, მგონია, რომ ანგელოზის ხმა მესმის ზეციდან..." ეს სიტყვები გერმანელ პროფესორს ჰერმან ვედეკინდს ეკუთვნის, რომელსაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ქართველებთან.

ნანული აბესაძე, როგორც მომღერალი თბილისის უნივერსიტეტში „დაიბადა", იგი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის ვოკალური ტრიოს სოლისტი იყო. მის დაოსტატებას ხელი შეუწყო ორკესტრის ხელმძღვანელის სოსო ტულუშისა და ცნობილი ქართველი კომპოზიტორების რჩევა-დარიგებამ. მომღერალს მზრუნველობას არ აკლებდა ბატონი რეზო ლაღიძე.

ერთხელ ქალბატონ ნანულის კინოფილმისათვის რეზო ლაღიძის სიმღერა უნდა შეესრულებინა. როცა ბატონმა რეზომ მანქანით გამოიარა მის წასაყვანად, დედამ ნანული არ გაუშვა. ბატონი რეზო გადმოვიდა მანქანიდან, რომ დედისთვის საყვედური ეთქვა, მაგრამ როცა კარში მოღიმარი ლამაზი ქალი დაინახა, სათქმელი პირზე შეაცივდა. დიასახლისმა სტუმარი შინ შეიპატიჟა და გულითადობით ისე მოხიბლა, რომ კომპოზიტორმა მეორედ მოსვლის ნებართვა ითხოვა.

...ნანული აბესაძის პოპულარობა თანდათან იზრდებოდა. იგი მღეროდა „რეროში", „დიელოში", ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, ხალხური ფოლკლორის ანსამბლში, იყო ფილარმონიის სოლისტი, ახმოვანებდა ფილმებისათვის სიმღერებს, რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდნენ. ქალბატონმა ნანულიმ სიმღერით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ახლაც განაგრძობს საგასტროლო მოგზაურობას.

მან კიდევ ერთი დიდი მისია იკისრა: გამოსაცემად ამზადებს ქართული რომანსისა და ქალაქური სიმღერების ანთოლოგიას.

**თამარ გომართელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პორტრეტი ყდაზე

ყოველგვარი ტიტულების გარეშე წარმოგიდგენთ ჩვენი ჟურნალის სტუმარს ქალბატონ **სოფიკო ჭიაურელს**. თუ ჩარლი ჩაპლინისა და სოფი ლორენის პიროვნებებს არავითარი წოდება არ ამკობთ, ამით განა რაიმე დააკლდა მათ მსახიობურ ბიოგრაფიას? — ტიტულები საბჭოთა სისტემის გამოგონილი ატრიბუტია. — ასე ბრძანა ქალბატონმა სოფიკომ.

# ამ სახლს ჭერმ

**— ქალბატონო სოფიკო, თქვენ ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის ქალიშვილი ბრძანდებით. ეს უკვე ბედია. დედისერთა ხართ?**

— არა, ჩვენ სამნი ვიყავით. ორი ძმა მყავდა — ოთარ და რამაზ ჭიაურელები. ორივენი 49 წლის ასაკში გარდაიცვალნენ, კინორეჟისორები იყვნენ, დოკუმენტურ კინოში მოღვაწეობდნენ. ძნელია საკუთარ ძმებზე ობიექტური ლაპარაკი, მაგრამ ვინც მათ იცნობდა, დამეთანხმება, რომ საოცრად ალალი და უსაყვედურო ბიჭები იყვნენ.

**— ჩვენმა თაობამ შეგიყვარათ კინოფილმით „ჩვენი ეზო“. თქვენი პარტნიორი, ასევე ცნობილი ადამიანების — ნატო ვაჩნაძის და ნიკოლოზ შენგელაიას ვაჟი, გიორგი იყო. შემდეგ თქვენ შეუღლდით, იმასაც კი ამბობდნენ, თითქოს ამ ქორწინებაზე თქვენი მშობლები ადრევე შეთანხმდნენ.**

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ დღეს, როდესაც ჩვენ უკვე ერთად აღარ ვართ, ცოტა უხერხულია და არასასიამოვნო ამაზე ლაპარაკი? მაგრამ მე მესმის მკითხველის ცნობისმოყვარეობა და ამიტომ გიპასუხებთ: მე და გიორგის შორის 10 დღეა სხვაობა. იგი მოსკოვში დაიბადა. ჩვენი მშობლები დიდი მეგობრები იყვნენ, კოლიამ ასეთი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა ჩვენებს — „შეგვეძინა ვაჟი, თქვენგან ველოდებით სარძლოს“ — მართლაც ასე მოხდა.

...მე და გიორგი ერთდროულად ჩავირიცხეთ მოსკოვის კინოს-ინსტიტუტში, შევუღლდით. პირველ კურსზე ვიყავით, როცა რეზო ჩხეიძემ მიგვიწვია „ჩვენს ეზოში“ გადასაღებად.

...ორი ვაჟი შეგვეძინა. ნიკოლოზი მხატვარია, სანდრო ვითომ მსახიობობას აპირებს, მაგრამ უფრო დედის შვილია, უჩემოდ უჭირს ცხოვრება. ცხრა წლის შვილიშვილი მყავს, ჩემი სიხარული — ნატალია შენგელაია.

**— მკითხველს ყველაფერი აინტერესებს, თქვენი ოჯახური მდგომარეობა, საზოგადოებრივი საქმიანობა, შემოქმედებითი წარმატებები, კონტაქტები უცხოელ და საბჭოთა მსახიობებთან, რეჟისორებთან.**

— ფეხბედნიერი გამოდგა ჩემთვის ფილმები: „ხევსურული ბალადა“, „ვერისუბნის მელოდიები“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხზე“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ბროწეულის ყვავილობა“, „ეძიეთ ქალი“, „წუთისოფელი“, „ნატვრის ხე“, „არევიკი“, ყველა ამ ფილმმა ფესტივალზე ან ჯილდო მიიღო, ან ქალის როლის საუკეთესო შესრულების პრიზი დავიმსახურე. თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანა მაქვს შემოვლილი, არც ჩემს საქართველოში დამკლებია რაიმეს ნახვა.

ბევრ სახელოვან ადამიანს შევხვედრივარ, მოსკოვის კინოს ინსტიტუტში ვხვდებოდი მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორებს, მსახიობებს. პირადად ვიცნობდი ჟერარ ფილიპს, ჯულიეტა მაზინას, სოფი ლორენს, მარჩელო მასტროიანს...

**— სახლი ფიქრის გორაზე... ამ სახლს რომ სტუმრები ყოლია! ვის გამოარჩევდით განსაკუთრებით მათგან?**

— გამიჭირდება ყველას გახსენება და ჩამოთვლა. ჩვენი სახლის კარი ყველასათვის ღია იყო. ბევრი პატივცემული სტუმარი გვყოლია. უბრალო ადამიანებიც მოდიოდნენ. ჩემი მშობლები უარს არავის არაფერზე ეუბნებოდნენ. ომის წლებში მოსკოვის სამხატვრო თეატრი იყო თბილისში გასტროლებზე, მთელი დასი გვეწვია შინ — ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალოვი... რუზველტის შვილიც კი ყოფილა ჩვენთან. ჩვენს ოჯახს ახსოვს კარგი ლექსი, კარგი ცეკვა, საქართველოს ლამაზმანების თავყრილობაც ბევრი ახსოვთ ამ კედლებს. ერთხელ ქალბატონმა ელენე ახვლედიანმა თავის სახელოსნოში, სტუმრების საპატივცემულოდ კინტაური მაცეკვა, 14-15 წლის ვიქნებოდი, ჯილდოდ ეს სურათი მისახსოვრა, ასეთ საჩუქრებს არც ჩემს მშობლებს აკლებდნენ ცნობილი მხატვრები, ამიტომ გვაქვს ამდენი ორიგინალი.

...დედას ოცდაჩვიდმეტში ფუთა შეკრული ქონია, ეგონა დააპატიმრებდნენ და გადაასახლებდნენ. მიზეზის პოვნას რა უნდოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუმრები ყოლია...

მაშინ, განგებამ თუ იხსნა, გადარჩა. დედაჩემს სამი გადანასახლები, ნატანჯი მეგობარი დარჩა, ღიმილი არ შორდებათ სახიდან, ისეთი სათნოები და კეთილშობილები არიან, გაკვირვებული ვარ მათი სიმხნევით. ახლა? ვერ გამიგია, რა დაგვემართა, რამ დაგვიბნელა გონება, რამ დაბოლმა ასე ჩვენი დღევანდელი საზოგადოება, რამ ჩაუბუდა სულში ამდენი ნაღველი. მესმის, ძალიან გაჭირდა ცხოვრება, ყოველი წვრილმანი პრობლემად გვექცა, მაგრამ განა წინათაც არ იყო სიძნელეები, რად დაიკარგა კაცთმოყვარეობა, სიბრძნე, ურთიერთგატანა, ვერ ამიხსნია რატომ გადმოგვედო ჩვენთვის უცხო სიცივე და მიუკარებლობა?!

**— ქალბატონო სოფიკო, შვილის თვალით დანახული და შეფასებული დედა უსათუოდ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის, მითუმეტეს, როცა ორივენი ერთსა და იმავე მუზას ემსახურებოდით.**

— დედა დედაა, ვინც უნდა იყოს იგი. როცა ცოცხალი იყო, არასოდეს მიგრძვნია მისი გენიალური მსახიობობა, ახლა კი თამამად ვამბობ, როგორც შვილი და კოლეგა, რომ მართლაც არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, დიდი მსახიობი, სულით ამაყი და გაუტეხელი, ყოველდღიური პროზა არც მას დაჰკლებია. ბაზარში დადიოდა, ალაგებდა, რეცხავდა, სითბოს და ალერსს უშურველად გვინაწილებდა ყველას. განსაკუთრებით შვილიშვილებით ტკბებოდა.

მოსკოვში შემოქმედებითი სალამო გაუმართეს. სხვადასხვა სპექტაკლებიდან რამდენიმე ნაწყვეტი შეასრულა, ფაინა რანევსკაია, ეს უბრწყინვალესი მსახიობი, ისე მოიხიბლა სპექტაკლით „ხეები ზეზეურად კვდებიან“, რომ მან უარი თქვა ამ პიესაში თამაშზე, ასეთი ტალანტის ნახვის მერე აღარ ღირსო.

მჟავანაძის დროს დედა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორად უნდა დაენიშნათ. გამოიძახეს ცეკაში და უთხრეს, ახლავე დაწერე განცხადება, პარტიაში შესვლაზეო — მან მტკიცე უარი განაცხადა, სულაც არ მჭირდება თქვენი პარტია, თუ მაინცა და მაინც გინდათ ისე დამნიშნეთო. იმ დროს იგი ერთადერთი უპარტიო ხელმძღვანელი იყო, მას ეს სულაც არ აღელვებდა...

დედას არაფერი დაკლებია ამ ქვეყნად — სახელი, დიდება, აღიარება, ჯილდოები. მისმა აქტიორულმა ოსტატობამ და მაღალმა კულტურამ ხელი შეუწყო თანამედროვე ქართული თეატრის რეალისტური და რომანტიკული ტრადიციების განვითარებას. და, რაც მთავარია, 90 წლის ასაკშიც ქალად დარჩა.

ქობულეთში ვისვენებდით. დედა ბაზარში ხილის საყიდლად შევიდა, რეპროდუქტორიდან გაისმა ბაზრის დირექტორის ხმა, რომ ქალბატონი ვერიკო იმყოფება ბაზარში, თავი არავინ შეირცხვინოთ და ფული არ გამოართვათო, დედა აღშფოთდა, ასეთი შემთხვევა უამრავი გვქონია.

არ შემიძლია გულისტკივილით არა ვთქვა, რომ დედას არც ერთი როლი ფირზეც კი არ შემორჩა შთამომავლობას. ძალიან მინდა ფილმი შევქმნა მასზე, ვნახოთ როგორ გავართმევ თავს.

**— მამა? მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ბატონი მიხეილ ჭიაურელი — მაღალპროფესიული მსახიობი, თეატრისა და კინოს გამოჩენილი რეჟისორი, ნიჭიერი მხატვარი-მოქანდაკე, ცნობილი ტკბილმომღერალი, მუსკომედიის თეატრის შემქმნელი, ქართული ხალხური შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე, სამშობლოს მოსიყვარულე, კარგი მეუღლე, პროფესორი, დარჩა კიდევ რაიმე თვისება, რაც მის პიროვნებას ამკობდა?**

— მამა უბრალო ოჯახიდან იყო, მაგრამ როგორც ბრძანეთ, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ჭეშმარიტი პატრიოტი, კარგად იცნობდა საქართველოს ადათ-წესებს, ყოფას, ჩვევებს, ბევრს მოგზაურობდა. იაკობ ნიკოლაძის მოწაფე გახლდათ. ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მუშაობდა თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ძეგლების შესწავლაზე...

როცა მამას ფილმი „ბერლინის დაცემა“ მოსკოვში აჩვენეს, ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, კარგა ხანს არ შეწყვეტილა ტელეფონის ზარი. მისი შემოქმედების მეორე ნახევარს მაინც მიადგა ჩრდილი, დასწამეს, სტალინს მიეყიდაო, მტკნარი სიცრუე იყო. მას ფანატიკურად უყვარდა სტალინი და აფასებდა მის ფენომენს, რაც უდავოდ მათი ურთიერთპატივისცემით იყო გამოწვეული, ამისთვის ხრუშჩოვმა სამი წლით სვერდლოვსკი გადაასახლა, მაინც არ უღალატნია რწმენისთვის, ბოლომდე მისი ერთგული დარჩა, თუმცა მის შემოქმედებას ამით ბევრი რამ დააკლდა. ის იყო ჭეშმარიტი სატირიკოსი. „ხაბარდა“ და „უკანასკნელი მასკარადი“ ამის შესანიშნავი ნიმუშებია. ზედმიწევნით მუსიკალური პიროვნება, კარგად იცნობდა ქართულ ფოლკლორს. როცა ბატონი გია ყანჩელი „ხანუმაზე“ მუშაობდა, საკონსულტაციოდ მამასთან მოდიოდა ხოლმე... ვამაყობ იმით, რომ ჩემში არის ანჯაფარიძეების, მესხების, ჭიაურელების სისხლი, სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნების გენები.

**— ერთ-ერთ ხაზღვარგარეთელ კინოვარსკვლავს ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვა დაუსვა, რამდენჯერ იყავით გათხოვილი? — მსახიობისათვის არც ისე ბევრჯერო, მიიღო პასუხი.**

— მივიხვდით, რისი თქმაც გსურთ. ბედნიერი ხარ ადამიანი მაშინ, როცა ნამდვილ გულისსწორს შეხვდები ცხოვრებაში, არა აქვს მნიშვნელობა ასაკს, ოჯახურ მდგომარეობას. ბედნიერი ვარ მას შემდეგ, რაც კოტეს დავუკავშირე ბედი (ლაპარაკია ბატონ კოტე მახარაძეზე). იგი გახლავთ ყველა რაინდული თვისებით შემკული ინტელიგენტი. არასოდეს ავიწყდება, რომ ქალი ვარ, ბოლოსდაბოლოს, ცხოვრება ხომ ყოველდღიური წვრილმანებისაგან შედგება, საოცრად რბილი და დამთმობია ურთიერთობაში. უნიკალური მახსოვრობითა და ნიჭით დაჯილდოებული მსახიობია. ახლახან ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრმა მაყურებელს შესთავაზა ლევან სანიკიძის ისტორიული ნაწარმოები „ბაგრატიონები“. ჩვეული ოსტატობით ორ საათნახევარს შეუსვენებლივ სცენაზე იდგა კოტე. მსმენელის თვალწინ გაიელვა ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის მოღვაწეობამ.

**— რას გვეტყოდით, სოფიკო ჭიაურელზე, როგორც დედაზე, მეუღლეზე, დიასახლისზე?**

— მიყვარს და ვაფასებ ოჯახურ სიმყუდროვეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა გვერდით ჩემი საყვარელი ადამიანები არიან. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, როგორც უმეტესი ქალი, ოჯახის მთელი ტვირთი ჩემს კისერზეა: ბაზარი, მაღაზია, სახლი, რეცხვა, დალაგება. ძალიან მამშვიდებს კერვა. ადრე კარგ ტორტებსაც ვაცხობდი. მანქანის საჭესაც ვუზივარ, მაგრამ მაინც უსაშველოდ განვიცდი დროის დეფიციტს.

**— მოკლედ იქნებ თქვენს სამომავლო გეგმებზეც გვითხრათ.**

— თითქმის ორი წელია, რაც ჩვენში მოიშალა ნორმალური ცხოვრების რიტმი. მინსკის კინოსტუდიამ მიმიწვია „ღამის პეპელაში“ ამერიკელი ქალის როლზე. მოსკოვის კინოსტუდიაში ვალერი ახადოვმა შემომთავაზა არც თუ ურიგო როლი, ვერ გადამიწყვეტია, დავთანხმდე თუ არა, ჩაფიქრებული მაქვს ერთი მსახიობის თეატრშიც მივილო მონაწილეობა. ახლახანს მოსკოვის მცირე თეატრში ვაჩვენეთ ჩვენი თეატრის ყველა დროის საუკეთესო სპექტაკლი „ურიელ აკოსტა“ ეს არის კოტე მარჯანიშვილის, პეტრე ოცხელის და თამარ ვახვახიშვილის შემოქმედების საუკეთესო შერწყმა. სპექტაკლს შესაშური წარმატება ხვდა წილად. დაესწრნენ მოსკოვის ყველა თეატრის წარმომადგენლები, საელჩოს მუშაკები, ისინი, ვისაც ნამდვილად უყვარს და ესმის თეატრი.

...ბუნებით ოპტიმისტი გახლავართ, ღრმად მწამს, თუ თითოეული ჩვენთაგანი დროზე მოეგება გონს, ყველა თავის საქმეს გააკეთებს, ბედნიერი ხვალინდელი დღეც გაგვითენდება.



# როგორ მოვამზადოთ საწოვარა

დედებმა, რომლებიც პატარებს საწოვარათი კვებავენ, ალბათ კარგად იციან მისი ხმარების წესები, მაგრამ მომავალ დედებსა და გამოუცდელ მშობლებს შევახსენებთ:

დაიბანეთ ხელები და სტერილიზება გაუკეთეთ ბოთლსა და საწოვარას, ათი წუთი ადუღეთ ადუღებულ წყალში.

აადუღეთ წყალი, სადაც ბავშვის საჭმელი უნდა გააკეთოთ.

აავსეთ ბოთლი საჭირო რაოდენობის წყლით, სანამ რძის ფხვნილს ჩაყრიდეთ, წყალი გააცივეთ დაახლოებით 37 გრადუსამდე.

ჩაყარეთ რძის ფხვნილი.

ანჯღრიეთ ბოთლი ფხვნილის სრულ გადნობამდე.

გასინჯეთ ტემპერატურა მაჯის შიდა მხარეზე.

გადაასხით ზედმეტი რძე.

ბოთლი ისე უნდა დახაროთ, რომ საწოვარა სულ სავსე იყოს რძით და არა ჰაერით. საწოვარათი ბავშვს მხოლოდ რძე ან წყალი უნდა მივცეთ. საწოვარას ნახვრეტი, არც პატარა უნდა იყოს, არც ზომაზე დიდი. თუკი ნახვრეტი პატარაა, ბავშვი შეიძლება დაკმაყოფილებამდე დაიღალოს წოვით, ხოლო თუკი ზომაზე დიდია, ბავშვი მანამდე ამოივსებს მუცელს, სანამ ამას მიხვდება, თანაც საშიშია, სასუნთქში არ გადასცდეს.

ბავშვთა უმრავლესობისთვის, კვების დრო თხუთმეტიდან ოც წუთამდეა.

დაახლოებით 25 გრამი საკვების მიღების შემდეგ და რა თქმა უნდა, ჭამის შემდეგ, ბავშვს უნდა მივცეთ საშუალება ჰაერი ამოუშვას პირიდან. ამ დროს ბავშვი ზომაზე მეტად არ უნდა ვამოძრაოთ. ამის მიღწევის რამდენიმე საშუალება არსებობს.

მიიყრდენით ბავშვი მხარზე და ზურგზე მსუბუქად დაარტყით.

მუხლებზე დაიყენეთ ვერტიკალურ მდგომარეობაში და ზურგზე მსუბუქად დაარტყით.

პატარამ ჭამისა და დაბოყინების შემდეგ უნდა დაიძინოს. იგი მარჯვენა გვერდზე ან მუცელზე დააწვინეთ.

ხუთი-რვა თვის ბავშვს უკვე ჭიქიდან უნდა მივცეთ შუადღის საკვები.

რვიდან თორმეტ თვემდე კი დილისა და ღამის ჭამაზე შეიძლება საწოვარა ჭიქით შევცვალოთ.

# ვარჯიში და თამაში ერთ წლამდე

ერთი წლის ბავშვი უკვე ფეხზე დგას და სიარულს ცდილობს. უკვე დროა ჩაუტაროთ ვარჯიშები, რაც სხეულის განვითარებაში დაეხმარება. ვარჯიშები, რომელსაც დღეს შემოგთავაზებთ, საჭიროა ბავშვის ზურგის სწორი განვითარებისთვის, ფეხების, მხრებისა და კუნთების გამაგრებისთვის. ამ თამაშებით ბავშვსაც გაამხიარულებთ და თქვენც სასიამოვნო წუთებს გაატარებთ მასთან ერთად.

დასაწყისისთვის ბავშვს ფერადი ბუშტები უყიდეთ. გაბერეთ და ჭერისკენ აისროლეთ, უთხარით პატარას, რომ ბუშტები იატაკზე არ დაუშვას და გამუდმებით ისროლოს ზემოთ. ნახავთ, როგორ გამხიარულდება იგი, ამასთან ერთად ხელის კუნთებიც გაუვარჯიშდება, ხოლო თუ ხტის, რათა ბუშტს უფრო ღონივრად ამოჰკრას ხელი, ფეხის კუნთებიც გაუმაგრდება.

მეორე თამაში, რომელიც მას გაართობს და ფიზიკურად მოამაგრებს, მაიმუნის მიბაძვაა. ბავშვი ხალიჩაზე დააწვინეთ და აიძულეთ რაც შეიძლება გამართული ფეხები აწიოს მაღლა. შემდეგ საჩვენებელი თითი ფეხის თითებთან მიუტანეთ და უთხარით მაიმუნივით მოგიჭიროთ ფეხის თითები. შემდეგ ეს ვარჯიში თანდათან უფრო ჩქარა გაიმეორეთ. ამით თავიდან აიცილებთ ფეხის განვითარების გადახრებს და პირველი თამაშის, ხტუნვის შემდეგ დაასვენებთ პატარას.

### აკრობატული გასართობები

დაწექით საწოლზე და უთხარით ბავშვს ხელები გაშალოს, ფეხებით კი თქვენს ხელისგულებზე დადგეს. ფრთხილად ასწიეთ ფეხები და უთხარით ბავშვს ტერფებზე ჩაგჭიდოთ. შემდეგ ბავშვის ფეხებს კარგად მოჰკიდეთ ხელი და ფრთხილად ასწიეთ. ეს ვარჯიში ყველაზე მეტად ახარებთ პატარებს, რადგან ფრენის შეგრძნება უჩნდებათ. ამავე დროს, უვითარდებათ ხელებისა და ფეხების კუნთები, ისევე როგორც თქვენ. თანაც ბავშვი მოძრაობაში წონასწორობის შენარჩუნებას ეჩვევა.

ახლა ოთხზე დადგომის დროც მოვიდა. აიძულე პატარა ოთხზე დამდგარი გაძვრეს მაგიდის ქვეშ. შემდეგ მაგიდასთან სკამი დადგით, უთხარით მას იატაკიდან სკამზე აძვრეს, სკამიდან — მაგიდაზე, შემდეგ იმავე გზით ჩამოვიდეს და ისევ მაგიდის ქვეშ გაძვრეს. ეს ვარჯიში რამდენჯერმე გაამეორებინეთ. ამით ყელის და ზურგის კუნთები გაუვარჯიშდება.

ახლა თქვენ თვითონ დადექით ოთხზე და „ცხენობანა" ითამაშეთ. შეისვით ბავშვი ზურგზე და რაც შეგიძლიათ სწრაფად დაიწყეთ ოთხზე სიარული. ბავშვი წონასწორობის დაცვას შეეჩვევა და სახლში სიარულის დროს ნაკლებად წაიქცევა.

იყიდეთ ტანმოვარჯიშეების ჯოხი. ჰორიზონტალურად დაიჭირეთ იატაკის სიახლოვეს და უთხარით პატარას ოთხზე დამდგარი გაძვრეს მის ქვეშ, უმჯობესია შეუხებლად. ამით ზურგისა და ფეხის კუნთებს გაუვარჯიშებთ.

სასურველია თამაშები რიტმული, სასიამოვნო მუსიკის თანხლებით მიდიოდეს, ასე უფრო იოლია ვარჯიშების დაწყება. გარწმუნებთ, თქვენი შვილი მთელი ცხოვრება თქვენი მადლიერი იქნება, რადგან ამით ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევთ მის ჯანმრთელობას.

ესპანურიდან თარგმნა
**თეა გვასალიამ**
ჟურნალი „კრეხერ ფილის"

## მშობლებისათვის

# როდის ამოსდის ბავშვს კბილები?

| | წინა კბილები | გვერდითი კბილები | ეშვები | პირველი ფესვიანი პატარა კბილები | მეორე ფესვიანი პატარა კბილები | დიდი ფესვიანი პირველი კბილები | დიდი ფესვიანი მეორე კბილები | სიბრძნის |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვედა სარძევე | 6—8 თვისას | 10—12 თვისას | 18—20 თვისას | 13—15 თვისას | 22—24 თვისას | — | — | — |
| ზედა სარძევე | 8—9 თვისას | 9—11 თვისას | 17—19 თვისას | 12—14 თვისას | 21—23 თვისას | — | — | — |
| ქვედა მუდმივი | 5—8 წლისას | 9—12,5 წლისას | 9,5—12,5 წლისას | 9,5—15 წლისას | 9,5—13 წლისას | 5—7,5 წლისას | 10—14 წლისას | 18—25 წლისას |
| ზედა მუდმივი | 6—10 წლისას | 8,5—14 წლისას | 9—14 წლისას | 10—14 წლისას | 9—14 წლისას | 5—8 წლისას | 10,5—14,5 წლისას | 18—25 წლისას |

# თუ გსურთ გყავდეთ ნიჭიერი ბავშვი...

მოუსმინეთ დევიდ ლუისის რჩევებს. იგი წლების განმავლობაში აკვირდებოდა ათასობით ოჯახს, სადაც ნიჭიერი ბავშვები იზრდებოდნენ.



1. ბავშვის ყოველ შეკითხვას ვპასუხობ მოთმინებით და პატიოსნად.
2. მაქვს დაფა, სადაც ბავშვს შეუძლია გააკრას თავისი ნამუშევრები.
3. არასოდეს ვუწყრები ბავშვს მის ოთახში ან მაგიდაზე გამეფებული უწესრიგობისათვის, თუ ეს უწესრიგობა შემოქმედებით სამუშაოსთანაა დაკავშირებული და მუშაობა ჯერ არ დაუმთავრებია.
4. შვილს გამოვუყავი ოთახი მხოლოდ მისი საჭიროებისათვის.
5. ბავშვს ვუნერგავ, რომ ის საყვარელია როგორიც არის და არა რაიმე მიღწევის გამო.
6. ვაჩვევ ბავშვს რაიმეს მოსატანად გაგზავნას.
7. ვეხმარები მას გეგმის შედგენასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.
8. თან დამყავს საინტერესო მოგზაურობებში.
9. არასოდეს ვეუბნები, რომ ის სხვა ბავშვებზე უარესია.
10. ვუმარაგებ მისი საყვარელი საქმიანობისათვის საჭირო წიგნებსა და ნივთებს.
11. ვაჩვევ დამოუკიდებლად აზროვნებას.
12. რეგულარულად ვუკითხავ.
13. ვცდილობ მივაჩვიო ისტორიების გამოგონებას და ფანტაზიას.
14. ყოველდღიურად ვპოულობ მასთან მარტო დასარჩენ დროს.
15. ნებას ვრთავ მონაწილეობა მიიღოს ოჯახური საქმეებისა და მოგზაურობის დაგეგმვაში.
16. არასოდეს დავცინი მის შეცდომებს.
17. ვაქებ ყოველი შესწავლილი ლექსის, სიმღერის ან მოთხრობის გამო.
18. ვასწავლი უფროსებთან თავისუფლად ურთიერთობას.
19. პატიოსანი ვარ შვილის მიმართ ჩემი გრძნობების შეფასებაში.

თუ ამ რჩევების 20 პროცენტს ეთანხმებით, ალბათ, დანარჩენებზეც მოგიწევთ დაფიქრება, მაგრამ თუ მათ მთლიანად ან 90 პროცენტით მაინც ეთანხმებით, მაშინ ნუღარ შეზღუდავთ ნურც ბავშვს და ნურც საკუთარ თავს.



# პულოვერი

## ზედმიქსოვილი სახელოებით

ზომა 46-48.

შვინდისფერი შალის ძაფი 600 გრ.

ჩხირები №2,5

ქსოვის სახე: რეზინი 1X1, „ლასტი“ და ფიგურული ნახჭი.

ფიგურული ნახჭის ნიმუშებისათვის აიღეთ 31 თვალი.

1 რიგი — 1 უკუღმა, 13 წაღმა, 1 უკუღმა, 13 წაღმა, 1 უკუღმა.

2 რიგი — 1 წაღმა, 13 უკუღმა, 1 წაღმა, 13 უკუღმა, 1 წაღმა.

3 რიგი — 1 ნამატი, 1 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 1 უკუღმა, 1 ნამატი, 13 უკუღმა, 1 ნამატი, 1 უკუღმა, 1 ნამატი.

4 რიგი — 3 წაღმა, 13 უკუღმა, 3 წაღმა, 13 უკუღმა, 3 წაღმა.

5 რიგი — 1 ნამატი, 3 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 3 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 3 უკუღმა, 1 ნამატი.

6 რიგი — 5 წაღმა, 13 უკუღმა, 5 წაღმა, 13 უკუღმა, 5 წაღმა.

7 რიგი — 1 ნამატი, 5 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 5 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 5 უკუღმა, 1 ნამატი.

8 რიგი — 7 წაღმა, 13 უკუღმა, 7 წაღმა, 13 უკუღმა, 7 წაღმა.

9 რიგი — 1 ნამატი, 7 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 7 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 7 უკუღმა, 1 ნამატი.

10 რიგი — 9 წაღმა, 13 უკუღმა, 9 წაღმა, 13 უკუღმა, 9 წაღმა.

II რიგი — 1 ნამატი, 9 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 9 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 9 უკუღმა, 1 ნამატი.

12 რიგი — 11 წაღმა, 13 უკუღმა, 11 წაღმა, 13 უკუღმა, 11 წაღმა.

13 რიგი — 1 ნამატი, 11 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 11 უკუღმა, 1 ნამატი, 13 წაღმა, 1 ნამატი, 11 უკუღმა, 1 ნამატი.

14 რიგი — 13 წაღმა, 13 უკუღმა, 13 წაღმა, 13 უკუღმა, 13 წაღმა.

15 რიგი — იგივე ნახჭი მეორდება, ოღონდ ჭადრაკული განლაგებით ე. ი. 13 წაღმა, 13 თვალი ერთად უკუღმა, 13 წაღმა, 13 თვალი ერთად უკუღმა, 13 წაღმა.

16 რიგი — 13 უკუღმა, 1 წაღმა, 13 უკუღმა, 1 წაღმა, 13 უკუღმა.

17 რიგიდან ნახჭი მეორდება დაწყებული 3 რიგიდან.

ნახჭის სურათს რომ დაუკვირდეთ, მიხვდებით, რომ წაღმა თვლებით ნაქსოვი ზოლი ყოველთვის ბოლოვდება ერთადგამოყვანით, უკუღმა ზოლზე კი ხდება ორივე მხრიდან თითო თვალის მომატება, სანამ 13 თვალი არ გახდება. შემდეგ ამ 13 უკუღმა თვალზე იქსოვება 13 წაღმა თვალი და ნახჭი ღებულობს ჭადრაკისებურ განლაგებას.

ნახჭი აჟურულია და მას უხდება წმინდა შალის ძაფით ქსოვა.

**ზურგი.** პულოვერი იქსოვება უთარგოდ.

ჩხირებზე აკრიფეთ 70 თვალი და მოქსოვეთ 10 სმ რეზინი 1X1. რეზინის შემდეგ ერთ გავლაზე ერთბაშად უმატეთ ყოველი მეორე თვალი ე. ი. თვლების რაოდენობა გაზარდეთ ორმაგად (140 თვალი), დაიწყეთ ქსოვა ფიგურული ნახჭით და მხრის ხაზამდე 60 სმ ქსოვეთ უცვლელად, ბოლოს ყველა თვალი ერთ გავლაზე დახურეთ.

**წინა კალთა.** იქსოვება ზუსტად ისევე, როგორც ზურგი, ოღონდ ბოლოდან დაახლოებით 42-ე სმ-ზე თვლების რაოდენობა გაყავით შუაზე, ცენტრში ორივე მხრიდან გადათვალეთ 5-5 თვალი და ცენტრალური 10 თვალი ქსოვეთ ლასტით საყელოს თამასისათვის. აქედან გააგრძელებთ წინა კალთის მარჯვენა, ე. ი. იმ მხარეს, რომელზედაც ღილის კილოები კეთდება. მოქსოვთ დაახლოებით 11 სმ. მე-5 სმ-ზე გააკეთებთ პატარა ღილკილოს და თამასის მე-11 სმ-ზე გადახვალთ საყელოს ჭრილზე, ამისათვის თამასის 10 თვალის შემდეგ ერთბაშად დახურავთ ჯერ 13 თვალს, შემდეგ 2 და 1. განაგრძობთ ქსოვას მხრის ხაზამდე და ბოლოს ყველა თვალს ერთად დახურავთ.

მოუბრუნდებით წინა კალთის მარცხენა ნახევარს, თამასის ძირში შიგნიდან ამოკრეფთ 10 თვალს, რომელიც მოიქსოვება ლასტით თამასისათვის, ამ თამასაზე შემდგომში დაეკერება ორი პატარა ღილი, ამ მხარესაც ისევე მოქსოვთ, როგორც მარჯვენა მხარეს.

ორივე კალთა მხრების ხაზზე მიაკერეთ ერთმანეთს და მიაქსოვეთ დაბალი საყელო, რისთვისაც საყელოს ირგვლივ (თამასის თვლების გარდა) ამოკრიფეთ 70 თვალი ე. ი. თამასიანად 90 თვალი და მოქსოვეთ დაბალი, 3 სმ სიმაღლის საყელო ლასტით, ქვედა ღილკილოდან 5 სმ დაცილებით გააკეთეთ მეორე ღილკილო.

პულოვერის გვერდები ჯერ არ ჩაკეროთ.

ქვემოდან 40 სმ შემდეგ გვერდის ნაწიბურზე ამოკრიფეთ თვლები სახელოსათვის. მეორე რიგზე მოუმატეთ ყოველი მესამე თვალი ისე, რომ სახელოსათვის მიიღოთ 100 თვალი და მოქსოვეთ სახელო უცვლელად ფიგურული ნახჭით, საყელოს ძირიდან 52 სმ შემდეგ ერთ გავლაზე უკლეთ თვლები ისე, რომ 40 თვალი დაგრჩეთ. მოქსოვეთ 8-10 სმ მანჟეტი რეზინით 1X1.

ნაქსოვი არ უთოვდება. ბოლოს სახელოებს და გვერდებს ერთიანად ჩაკერავთ.

სადა, დახურულ საყელოზე შეგიძლიათ დაიბნიოთ გულსაბნევი.

ლატავრა თეთრაული



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაპონური კიმონო

ევროპული მოდისგან განსხვავებით, იაპონური კიმონო უკვდავია საუკუნეთა განმავლობაში. ამ ჩაცმულობის მხატვრული გადაწყვეტა ჩამოყალიბდა ძველი ჩინური და იაპონური მსოფლმხედველობის, მისი სიმბოლიკის მრავალფეროვნების ნიადაგზე. ამიტომაც არის, რომ ტრადიციული კიმონოს ქსოვილი არაჩვეულებრივად მდიდარია სიმბოლური ორნამენტით. ფერებიც კი სიმბოლურ აზრს ატარებენ. მაგ: გაზაფხულს საკურას ყვავილი და პიონი განასახიერებს, ლოტოსი მორალური სიწმინდის სიმბოლოა, პეპელა ბედნიერების სურვილს ნიშნავს, ორი იხვი კი — ცოლქმრული ერთგულების სიმბოლოს.

ტრადიციული იაპონური კიმონოს მთელი ანსამბლი საკმაოდ რთული იყო. იგი ძვირფასი ქსოვილისგან იკერებოდა. თანამედროვე კიმონო, რასაკვირველია, გამარტივებულია და იხმარება მისი ზედა შემოსაცმელი.



გთავაზობთ კიმონოს თარგს, რომელიც მეტად მარტივია. კიმონოსთვის გამოგადგებათ ყველანაირი ქსოვილი, გარდა ტრიკოტაჟისა. თუ ქსოვილს 1 მეტრი განი აქვს, დაგჭირდებათ 4 მეტრი. სასურველია ეს იყოს ფერადი, ეგზოტიკური მცენარეებით მოხატული ქსოვილი.

ნახაზზე ნაჩვენებია კიმონოს თარგის ნახატი. ქსოვილი თარგის ყველა დეტალში სწორი გამოიყენება. თვით 5 სმ სიგანის კანტიც, რომელიც მას კისრიდან წელამდე მიჰყვება. ქამარს თარგის გარეშე შეკერავთ. გამოჭრისას თარგის გვერდებზე დატოვებთ 2—2 სმ, რათა ჩაკერვა ზუსტად თარგის ხაზზე იქნეს შესაძლებელი. კისერზე სწორ ხაზს ოდნავ რკალურ ფორმას მისცემთ და კანტს ისე მიაკერებთ.

აქ მოცემული კიმონო 46—48 ზომისაა. კანტის ფერი შეგიძლიათ თქვენი გემოვნებით შეარჩიოთ. საჭიროების შემთხვევაში კიმონოს სიგრძე შეიძლება დაამოკლოთ, ან მთლიანად დააპატარავოთ, მხოლოდ გვერდითი ა—ბ ხაზების ჩავიწროებით.

რასაკვირველია ეს არ არის ფენოვანი, ტრადიციული კიმონო, მაგრამ გვერწმუნეთ, რომ ქართველი მანდილოსანი მშვენივრად მოიხდენს ასეთ ხალათს. რამდენჯერმე გადაზომეთ, მოიფიქრეთ რომელი მხარის აჭრას აპირებთ პირველ რიგში და აუცილებლად გადაიტანეთ ნახაზი თვით ქსოვილზე ქაღალდის თარგის მეშვეობით. ამისთვის კი გამოიყენეთ გათხელებული, მშრალი საპონი ან სპეციალური ფანქარი.

თამარ გეგეჭკორი




ზურგი. მკლავის სიგანე 32×2




წინა მხარე. გ×2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია

## ცხადსა და დაუჯერებელს

ათი წლის სასწაულს
ეკა ბაქრაძეს

როცა მეგონა,
რომ არაფრით აღარ შეეძლო
განგებას მაღალს
გაკვირვება რითიმე ჩემი,
სწორედ მაშინ აღმოგაცენა
იასავით
ადამიანის უკურნებელ სულის ტკივილზე
ცრემლით მორწყული,
ღიმილ-ჯავრის ნაყოფმოსხმული.
წყევლით და ლოცვით
ვინ შეუყენა
ამ თვალშეუდგამ ფრიალოებს —
ცხრაგზის გოლგოთას,
ფეხაუდგმელი
შენი ლერწმის წკრიალა სევდა?
არამოსული ფრთებიც უკვე დამსხვრეული
გაქვს!
დაბადებამდე ხომ არ განვლე
ამა მიწიერ ჯოჯოხეთში
ერთი სიცოცხლე?

## ბალადა მანდილზე

შეჰხეთქებია რაინდი-რაინდს,
ზვავი-ზვავს, ან თუ გრიგალი-გრიგალს.
ამ დროს მეზავის, შუღლის აღმკვეთის
დგას გულგრილობა და ხელებს იბანს.
ზიზღ-მძულვარება ყორნის ხმით ჩხავის,
გლოვის მთესველი მახვილი ელავს,
შეხეთ შესკდომას ლავაზე ლავის,
ნუღარსაიდან ნუ ელით შველას.
მზე ერთ-ერთისა დაითხრის თვალებს,
დანაზშირდება ზეცა მაისის.
ელდით შეძრული დუმს გარეშემო,
მხოლოდ ხეთქების ხმალა გაისმის...
და უცებ ფრენა იისფერ იის,
გულგახეთქილი ცისფერი ია,
უპყრია თვისივ ლურჯი ფურცელი,
მოჰყვება მსუბუქ იისფერ ნიავს...
მეც ვდგავარ ელდით დამუნჯებული,
ჩემს წინ თითქოსდა
სისხლ-ცრემლის რუა..
მაგრამ უეცრად ფურცელი ლურჯი
ჩაეშვა ორი რაინდის შუა
და ყალყზე შემდგარ იმ მძვინვარებას,
სისხლის სიშმაგეს თუ ცოფს ნადირის,
აცხრობს წამიერ — მლიმარი ცისფრად
შეუვალობა წმინდა მანდილის.

. . . . . . . . . . . .

ვაი, ჩამოწვა მოძმეთა შუღლის
ეს ძაძისფერი ღრუბლის ფაფარი
და დააბნელა მამულის ზეცა,
ქართლის მანდილი და თავსაფარი.



ანზორ აბულაშვილი

ანზორ აბულაშვილს ახლა-
ხანს 60 წელი შეუსრულდა.
„საქართველოს ქალი" ულ-
ოცავს პოეტს ამ იუბილეს.
უსურვებს ხანგრძლივ შემოქ-
მედებით დღეგრძელობას.

## უნუგეშოს ნუგეში

ვაი იმ დღეს, მოყვარული
გულ' გულს რომ განუდგება...
და თუ ცხადში ველარ გნახავ,
სიზმარს წინ რა დაუდგება.
ვაი, ვისაც უარყოფის
გულში ჯანღი ჩაუდგება.
და თუ შენზე არ მამღერებ,
კვნესას წინ რა დაუდგება.
ეგ ყინულის ქედმაღლობა
სხვას მორჩილად წარუდგება...
და თუ შენთვის არ მაცოცხლებ,
სიკვდილს წინ რა დაუდგება.

## კონტრაბანდა

ტირის ვაზი, მღერის ვაზი,
კვირტი ინასკვება ვაზზე.
მარტი-სულელი და ჭრელი
თიკანივით მოდგა კარზე.
მთაზე იძენძება ნისლი,
სამოსს იცვლის მარტის ზეცა.
ნებიერი ჭირვეული,
კისკისა და მატრაკვეცა...
ფრთხილად!
იმის უწყინარ მზეს
მოსდევს სიყვარულის „პიკი",
მოაქვს ნელ-ნელ, შეფარულად,
გაზაფხული — ნარკოტიკი

## იქნება მართლა...

იქნება მართლა თენდება,
იქნებ აღარსად ღამდება,
დამჭკნარი ჩვენი მთა-ბარი
სიმწვანით აღაღანდება.
იქნებ კერია მიმქრალი
ისევ თავიდან ჩაღდება,
დაბორკილ-დამონებული
სული კვლავ გაგვილაღდება.

## ბელადის სურათთან განაფიქრი

გინდ მელვიძოს,მაინც მძინავს...
დაჰკრა ტყვია გულში მიზანს,
ვინც დიდებას თვისსას — ხეტარს,
თრობა — თვლემას შემახიზნა
შორს კაენის შორანს სახე
და აბელიც ისევ გმინავს...
თუმცა მღვიძავს, მაგრამ,
დახეთ,
რა სალათას ძილით მძინავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღევანდელი ნომრის სტუმარი გახლავთ მწერალი ფანტასტი, მკვლევარი, ეტიმოლოგი, მეცნიერული ენთუსიისა და ფანტასტიკური ლიტერატურის საზოგადოება „ერისიონის“ დამაარსებელი და პრეზიდენტი, მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება ბატონი **ირაკლი კინწურაშვილი** — უცნაური ბედის კაცი. მისი ფიქრი თავს დასტრიალებს ქართველთა უშორეს ისტორიას. ამ თემაზე შექმნა ტრილოგია „დიადი იბერიონი“. მისი უამრავი გამოუქვეყნებელი წიგნი, გამოკვლევა თუ სცენარი მომავალში ელის გამომცემელს, ქომაგს, დამფასებელს და ვფიქრობთ, მკითხველი, რომელიც მალე შეეჩვევა მწერლის ერთი შეხედვით, უცნაურ სტილს, სიამოვნებას მიიღებს მის არაჩვეულებრივ ხილვებთან შეხვედრით.

დღეს გთავაზობთ ნაწყვეტს ირ. კინწურაშვილის ტრილოგიიდან — ამორძალების ეპიზოდს. ავტორს მიაჩნია, რომ ამორძალები ქართველი ქალები იყვნენ.

**ირაკლი კინწურაშვილი**

# მტრედი გარეული—ინაგა

უი! — გაოცება, შეკივლება დასცდა ახალბედა მოთარეშეს. შავს წარსდგომოდა საგანს უცხოს, უცნობს. ზღვის ორჩხოლს ამსგავსა. შუბი აბჯინა. არ იძროდა საგანი. ცხენიდან ისკუპა, მახვილი იშიშვლა. ფეხის მიწოლით ძლივს გადააგორა, ჰოი, საოცრებავ! ის ზღვის ორჩხოლი, პირჩამხობილი, ნაბად წახურული, ადამიანი ყოფილა. ადამიანი შეიშმუშნა, მერმე კვლავ გაირინდა.

— ე!! — წყრომა აღმოხდა ყმაწვილური, მიამიტურ-მიუსადაგი. მძინარე მისივე ხნის თუ იქნებოდა, ან თუ ოდნავ უმეტე. ის მძინარე რა დამნაშავე იყო, გარნა რატომღაც სწორედ იმ თანატოლობამან გააბრაზა თავდამსხმელი.

რამდენგზის შეუგონებია ასიხთავსაც, თავად დიოფალს სრულიად ქალკოლონტისასას მეომარნი ახალბედანი: გამოუცნობს გონების თუალით უმზერდეთო. თვალი მაცდურიაო. გოგონას ასიხთავის გამოცდილება რომ ჰქონოდა, უმალ ამოხსნიდა, განა ძნელი შესაცნობი იყო? ყრმისა მუზარადს მცირე რქები ამშვენებდა. მსგავსი მუზარადი, ოღონდაც ოდნავ უფრო დიდი რქებით, ტოტემი, ხალიბთა ხარის კულტი იყო. მსგავსად საიხში მისულ უძველეს ზღვის ხალხებისა, ხალიბნი, მუსკნი, დვრილნი, მაკრონნი, კარიელნი ხარს მილეთელნი, დარდანი — გიაგნისნი სხვანი მოლოქს აღმერთებდნენ — მუშას მიწადქმედსა. ბრძოლად ხარისავე ტყავის პატარა ფარები და ორი ლიკიური ხელობის შუბ-ზუფანი ჰქონდათ მახვილთან ერთად. ჯართა ჯგლეთისას ხმლის მოქნევაი რომ ჭირდა, უმამაცესი ხალიბნი მტერს რქებით ემგერებოდნენ. იმ დარტყმას მთელი სხეულის წონაც მოჰყვებოდა, კვერთ ბეგთარი, გინათუ გულფარი ვერ უძლებდა გამფატვრელსა დარტყმას.

ნაბადში გახვეულ მძინარე ჭაბუკს არც ფარი გააჩნდა, არცა შუბ-ზუფანი. მახვილი მოკლე, ვიწრო, ემჩნეოდა ისეთი მსუბუქი იყო, მრავალი დღე ექნია, ვერც შეიტყობდა ხელს იქნევდა თუ დაშნას. იმ გოგო-დიაცმან არცა ის იცოდა, გემიდან გემზე გადასხმისას ფარის თრევა მეჯურმუცეს ხელს შეუშლიდა. ფარსა ომსწრაფი სცვლიდა, ფიცხელი ქმელი, ხოლო ხრმალს მოკლესა გული მაგარი, ვითარს ჯავშანი ჯავარდანისა. გოგომან ესე ყოვლი ვერ შენიშნა. მის წინ მტერი იწვა! იმდენად თავხედი, თავს მეომარი წარსდგომოდა, მას კი უზრუნველად ეძინა. უნდა მოვკლაო. მტრის მახვილსა სწვდა, ოქროჭედილ ქარქაშიდან დააძრო. ორლესულის პირიდან ელვა-ციაგის ფოლიანტელმა იკისკისა, თითქოს ცად აიჭრა მახვილ-საოცრება მტრისა. ამორძალი ტყვედ ჰქმნა იარაღმან. ამ მახვილით დევს ვძლევო. მზით გარუჯულ სახეზე მზეებივით აუკიაფდა ლამაზი თოლნი, მომწვანონი. სხვა რომ არა, ამ მახვილისთვის დავკლავო. ფიქრნი ქარბორიად, წაღმა-უკუღმა უქროდნენ თავში. ეგ მეომარი იყოს, ასე მკვდარივით არ ეგდებოდაო! თუმცა იყო გაზაფხული, ხანი ამორძალთ სისხლის ჩქროლისა. ვაჟიც ისეთია, ლომს ემსგავსვისო. როგორი ყოფილაო ვაჟი. სულმან მისკენ გაიტყუა. მერმედ რაღაც გაიაზრა, ახლა გულისტკივილმან შეაჩერა, გააქვავა. წინადაცვეთილ არ იყოს, საკუთარი ხელით უნდა მოჰკლას. რატომ იყო ასე? ასე შეიცნობაო მამრი შენი ტომისაო! სხუასთან მისვლაი არ ეგებისო! სიკვდილით ისჯებაო ამორძალი! უცხოის ტომისასთან მისულისა გამოო! თუმცა, ამბობენ, არიანო მავანნი იბერიონნი წინადაცვეთილნიცაო. ხალიბაურთ წინადაცვეთა კოლხთაგან უსწავლიათო ძველად. რა შედანაა ესე წინადაცვეთა? არც იცის ხეირიანად. არაიბერთან მისვლა... ო, ო! არ ეგებისო! ესე კანონია, ხმაი ირაო კერპზა წმიდათაწმიდა ათასწლეულებზე! საუკუნეთ გაუძლო კანონმა, ძალა არ დაჰკნინვია! არავის არაოდეს არ დაურღვევია იგი, ერთადერთი უწმინდესი, რაიც ამორძალთ გააჩნდათ. ქალწულს სული აეწვა. სიზიფ-ფუჭად ჩაუარა ნადირობამან. მერე მცნებად რაღაც ჩაესახა იმედნეული. შორეთს ჩაუყვა საუკუნეებს სიღრმეში. ისი ღრეკაითა მონატაცებნი აკი შეუერთდნენო მავანთ?! სრულიად ახალი შეჰქმნესო ტომი საურომატთა! ათასი უელავდა აზრი, ხსნაი მაინც ვერ ჰპოვა. იმათ არჩევანი არ გააჩნდათო. დინჯად, ჯიუტად პასუხობდა ქვეშეცნება. ითავისუფლეს ჯანყითა, გარნა მაინც მტრის გარემოცვაში იყვნენო. სხვა გზა არ გააჩნდათო! მერედა რა დაშავდაო ამით! თავისი მაინც გაიტანესო. მეფე დიდებულებად ამორძალნი ჰყავდათო საურომატთ! ახალი რომ გაჩნდა, ძველი მშობლიური სწორედ იმ ახალმან მოსპო! ისევ უჩურჩულა სინდისმა, გული ჩასწყდა იმედნეულს. ამორძალში მოკვდაო იბერი!!! იგი სახე დიდებული ამორძალისაი! ხული დრტვინვად ექმნა. თუ ასეა მე რატომ უნდა ვუღალატო ჩემს ტომსა და ერსაო! ამასა აქვე დავკლავო. ახლოს მიდგა — მახვილი მკერდზედ აბჯინა.

— თოლნი განახვენ! — დასჭექა.

ვაჟმან თვალნი ზანტად ახძრა. რომ გაერკვა, ოდნავ შეკრთა. მერე, ელვა რომ დაჰკრავს ულოდნელი, ფეხით მოცელა! ზეაიჭრა! მტრის მახვილს ფეხი აბჯინა, დანა იშიშვლა ფიცხელ! არ გაინძრეო.

დაცემულს მუზარადი მოხძვრა. კრიალა ოქროისა თმანი ჩქერად დაეღვარნენ ყვითელ ზვლიკებად ახტუნდნენ, ასრიალდნენ. ვაჟი შეცბა, საკუთარი მახვილი აართვა და განდგა გაოცებული.

— ვისი ხარ, ქალავ?

ის ამორძალი ცეცხლს ებაძა და ცეცხლი ისრეთ მყისიერ რარიგ აგიზგიზდებოდა? წამომდგარი არ იყო, ხმალი იშიშვლა! გააფთრებულ იერიშზე გადავიდა, ისე ოსტატურად, სწრაფად ინაცვლიდა ადგილს, ისეთი გამჯ-

ტებითა და ძალით ხცემდა მახვილს, ვაჟი ძლივს იგერიებდა. ერთხანს სულაც დაავიწყდა ქალს რომ ებრძოდა. ხმალი უცნაური მოკლე გაკვრით შეაგება მის ძლიერ, გამეტებულ დაკვრას, ქალწულის მახვილი სანთლისა ყოფილიყოს თითქოს, ისერიგ გადათალა ვადასთან. ამორძალს კივილი აღმოხდა. ის სახელური ვაჟის მუზარადს შეასკდა, ისიც ქალივით ომად იქცა, ქალივით აზრიალდა, კივილი ასჩემდა, სული შეერყა და გაწბილებული სილამაზე დამუნჯებული დაეცა. ვაჟი კვლავაც დადრკა. დაოკდიო, შესთხოვა დინჯად, — მიმეტებდი... ძილშივ მოგეკალ, — ღიმილითა სთქვამდა. გაოცებითა და სიყვარულით უმზერდა იმ ლრენია დედალ ავაზას. ასე ლამაზი, ასე მოხდენილი გოგო არ ეხილა, გოგო იგი ოცნება, პირველად იხილა, იხილა და... გოგოს ბოლმა აღრჩობდა. დამცინიხო! შევაკვდები ან გავფატრავო! სამკვდრო-სასიცოცხლო ომად იქცა, ელვად აღეგზნო. სატევარი იშიშვლა, დაჰკრა!

ვაჟი ქალწულში ღვთაებას ხედავდა, მშვენისის სიმწყაზარისად, სიმშვიდის ფერია სირინოზს, ზმანებას საოცარს, სათაყვანოს, მზენათია — მაზალოს. ნამარხა და ღელვაგვემილს ანგელე ეზმანა და ისიც ომად იქცა. აეტს ვფიცავ მეზმანვიხო! ჰო! და, ამ დროს დარტყმა!!! მარცხენა ზელის სამკლავის შეგებება მოასწრო, სატევარი ასხლტა, პერანგი ჯაჭვისა გაფატრა! ტკივილისა სიმწარემან ააგანგაშა სინაზისა და სინატიფის ტყვედქმნილი! ზელი უკუღმად გასცხო, სატევარი გააგდებინა, ქალწული ძირს დახცა, ხარმის გაკვრით, პირქვე ჩააბრუნა. უკანალზე გამეტებით დაჰკრა ხელი; ატრუებულ დაიკოს რომ დასჯის ძმაი, თუმცაღა კიდევ ერთი რომ შემოჰკრა... ის ლომის ტორი... ველარ აიღო. სიამის ტალღა სისხლს აედევნა და გულში სიხარულთა ჩქროლვად აგანგაშდა, ბანგი ჰრფიალისა სულში ატკციალდა; ძარღვებში ცხელი და გონწამტან საამოვნებლად რაღაც ჩაეღვარა, ცეცხლად ჩაექცა, და ის ზელი, დანანასობი, შურისძიების ნაცვლად, თრთოლვა-ალერსად იქცა.

გოგო ფიცხლად შებრუნდა, წამოდგომა სცადა. ვაჟი მთელი ტანით დააწვა, მიწას გააკრა. მათ სხეულებს ორი ცივი ჯავშანი ეზღუდერება... რა რომ?.. ძუძუკათა სიმკვრივემან ზუფანთ ძგერებაზედ უმეტე დალახვრა! ნიჩბებივით ნებებში გოგოს სახე შერჩა, ღრენია, კბენია, უუსაშველოდ მოძულე თვალნი ელვანი, უსაზღვროდ დიდრონნი, ფეთებიანნი, ლადანა ყვავილცვარი ცრემლებიანნი, მოციაგენი ფერნი თაფლისა, ქარვისა, ხანდროს საფირონიხა, ცოტად ღია — უფრო ნათელი, წამწამ სხივოსანნი მფრქვეველნი ისრისანნი. ბაგენი ალუბლები-ნექტარწვნიანნი. სუნთქვა ჩქროლადი. თვალთაგან ნაკადული სუფთა, გინა თუ ლეშტერი ცისა დელგმა, წარბნი კუშტნი, სული ავაზასი, კბილბასრისა, ბრჭყალიანისა.

გოგომან იაზრა. ძლიერნი იყვნენ ამორძალნი, უტეხი იყო ხასიათი მათი ადამანტისაი, მაგრამ ხრულიად სხვაგვარი ყოფილა მამრი. უფრო ძლიერიც, უფრო თბობადიცა და მოწყალეც. სიბრალულით უცქერს იგი მის ომიანობას. იგი ძლიერი ალერსად ქცეულა, თავად იჩხაპნება ვიეთთა ცინტალი ციცასი, გაავებული უაზროდ და უმიზეზოდ! ასე არ უხატვიდნენ მამრს. ომიანიაო მამრი, შლეგიანიო! უნდა სძლიოო! ტყვედჰქმნაო უნდა, კერპუპირველესის ირაოს ფერხთით უნდა დაიკლასო! აართვაო ჰუნე! საჭურჭლე უკეთესი! ოქრო! სამოსი სულიც კი! მტერიაო იგი ქალისა!!!

— შენ ჩემი ტყვე უნდა იყო! ეხლა ხომ გაზაფხულია?

— ტყვე რაა, მონა ვარ შენი!

ცისა გუგუნს ადარა ქალწულმან იგი ბოხი ხმა მოყმისა დინჯი, მდორედ დენადი. პასუხმაც სული შეურყია! ესრეთ ძლიერი ნებითა საკუთარითა ემონვის. ფიქრსა ეძალა, მაინც ვერ სძალა.

გამოფენები







რეპროდუქციები ირ. კინწურაშვილის ნამუშევრებიდან (ხეზე წვა).

— უკეთუ ჭეშმარიტსა ღაღადებ, რადა მპყრობ?

— მომიტევე, აკი დამკოდე! — ვაჟი წამოდგა. — აჰა, გეხელყვი!

გოგოც წამოდგა. სიჩქითე, ხელგერგილობაი აყოლილ ფიქრს გაეთოკა. მცდელად თქვა: — დაყაროს ტყვემან იარაღი!

— რომ გავეშდე... ამკუწო!

— უიარაღოსა? მეომარი ჩემი მოდგმისაი?...

— ვისი მოდგმისა ხარ? — ...ვინ!

— ხალიბნი, ჰენიოხნი, ზიგნი, ლაზ-მეგარნი, მუშკნი, მავანნი და მავანნი.

— ო!..

— ტყვე... მისმენდე! ჯერეთ თხუთმეტისა ვარ მზეობისა მოწმე. შენ პირველი ტყვე ხარ. ამად უნდა იყვე თვინიერ! ისრეთ, ვითარ ეგების ტყვესა გაზაფხულისასა! უნდა ალასრულო პრიანებაი ყოველი მპყრობელისაი! ჩემი! მე უნდა მოგიტაცო!... მერმედ ...ასე არს წესი ამორძალთა, დავფეხმძიმდები... ასერიგ მოვიპოვებ ასულსა, მწესა, ჩემი სიბერისასა და ომადარსა სპარაზენსა. ქუეყნისასა, ამორძალეთისასა!

ვაჟსა გერში შეეწმინდა, ნაკოდზედ სალბუნს იდებდა, მალამოსა. ამის გაგონებაზე სიცილი წასკდა, იცინა და იხარხარა. გოგოს წარბნი კუშტ შეეკრა. ისე იტყოდა, ვითარცა ერთსა რამესა საყოველთაოდ ცნობილსა, გინათუ კანონსა! ეგების არ ხუმრობს, არცა მალვაი ძალუძს. გაიფიქრა, სიცილი შეიკავა, ახლა ამაზედ არ შემრისხოსო — თქვა: — ფეხმძიმობა არა... რომ გავმიჯნურდე?! — მერე მხართეძოზედ წამოწვა.

— რარომ??? რა́ არს ჯნურობაი ეგრევითარ საზარისი?!

— ჯნურიო — მიჯნურობაა, რომელ შენს მონად მაქცევს! მიჯნურ გავეშდების, ოდეს სხუასა ჰპოვებდე ცხოსა ტყვესა ჩემად მქიშპად — მოცილედ!

— შენად რადა? ჩემად, ვპყრობ ჩემად!

— ღმერთო ძლიერო, რა შეგცოდე? განდექ ტყიურო!

ვაჟს ჭრილობისა ტკივილმან სახე დაუმანჭა, მაგრამ ეს ტყის ქალღმერთი, ტყაშიმაფა, სხვა ტყვის მოპოვების სურვილს რომ არ მალვიდა, იგი ღრღნიდა, იგი აცოფებდა! მერე იგუმანა, გვიან არისო! შემიყვარდაო! და რა მეშველებაო, ფლოტში რარიგ მივიყვანოო! დავტოვო, ტყვეს იპოვნისო ცხოს!

— მე უნდა დავფ... ახლა გაზაფხულია! მთას ირმები ბლავიან, ერთურთს ებებდიან!

— ირმებმაც იციან თავისი და სხვისი! შენ უსიერ ხარ, უწურთვნელ, ვით აფთარი უნდა, და მორჩა, ეგ არი!

— ო, კერპნო! ჰა სიზიფოსი იგი ნადირობაი ჩემი!

ქალწულმან პატარა იშიშვლა დანა. სასიკვდილოდ მოიქნია, დასცა, მაგრამ იქ არვინ დახვდა დანას, სილაში ჩაყვინთა ორლესულმან! ჯადოქარი ყოფილიყოს თითქოს, იგი ყრმა მხართეძოზედ მწოლი აორთქლებულიყოს თითქოს მყისიერ! მერმედ სასოწარკვეთა შეესია, სჯაბნა, ქალწული კერპთან გაირინდა თითქორე. მერე თვალნი დახუჭა. იგი გაწბილებული დანა მოიქნია, მკერდს უმიზნა თვისას, და... ჰა!! ახლა ჩაესობა. ზედ ძუძუსთან ხელი გაუქვავდა. მერმედ მაჯის ტკივილი იგრძნო საშინელი, დანა გაუვარდა, ისე ვით თავში წაჭერილ ასპიტს ჩაჩას დააფრენინებენ გესლ-ზუზიას ასართმევად. იოკა. თავი დახარა, ზღვის სანაპიროს სილას დააცქერდა. იგი ვარო, მარცვალი ერთი უუფასური ამა ქვიშისაო.

ვაჟს სწრაფმან ქმედებამან ჭრილობა აუწვა. ნაბადი გაშალა, წამოწვა. სახეზე ტკივილი თარეშობდა, თუმცა მალვიდა. გოგო მხართეძოზე წამოწოლილს მიუჯდა. სული შესძროდა გაოცებით. იგი მტერი მძლე, ომიანი, ვითარცა ქარაშარა ტვიფონი მძვინვარი, მართლაც დანებდა. იარაღი დაჰყარა. სისხლმან სალბუნი გაუჟღინთა. ტკივილი რომ გაუელვებდა, სახე შეეშლებოდა. ჩუმი კვნესა თუ დაჰვარდებოდა, იმასაც მალვიდა, ითმენდა. არცა სისხლისა ალებაზედ ზრუნვისო! არც წყენა დარჩაო. თუ ღმერთსა მიწად ჩამოსვლა ძალუძს, ესე არსო თავად უფალი! დიდი, ძლიერი, თვინიერ ამტანი, ლომბირი. მერმედ საკუთრივი წამოეშალა დარდ-ვარამი. სული უფორიაქა. მას საკუთრივი გზა და ქვეყნისა ვალი გააჩნდა, იმაზე უნდა ეზრუნა. რა რომ ჯერეთ პატარაა, ახლავე უნდა იზრუნოს, მომავალი უნდა შექმნას, გოგო ამორძალად უნდა გაზარდოს! მოჯირითედ, ჩუბინ მოისრად! სული უნდა ჩაუდგას უტეხი და მაგარი ვიეთთა რკინა ჭედილი ხალიბაურთა, რკინის ხუროთა უპირატესტთა! ესე ყოველი რიგზე დაიგულვა სათქმელი. მაინც ვერ თქვა. არცა ის იცოდა, რარიგ აზერხებდნენ ტომის ქალები გაზაფხულზე დაფეხმძიმებას. ადრე, გოგონი მოქუჩდებოდნენ, შემოგარენის სოფლებს, ანთუ ყანად მომუშავე თვისტომ ვაჟებს ატყვევებდნენ. ახლა მუნ სიცარიელეა ტიალი! ტომის ქალები მას არავინ ასწავლიდა; ჯერეთ ცინგლიან ხარო, ხორხოცობდნენ ჭარმაგნი ამორძალნი, რომ გაიზრდები, მოესწრებიო, რამ დაგაფეთაო, დატუქსვიდნენ. ახლა??! ახლა მეომარია! გასულ კვირიკესა დღესა, ტომმან ჰუნე და იარაღი ჰრგუნა ზარზეიმით! ახლა მას უფლება აქვს, ვითარცა მოთარეშესა, ყოვლისა! ვერვინ შეჰბედს ცინგლიანი ხარო! მეომარია, სპარაზენია! ტყვე უნდა ეშოვნა. მამრი! აჰა! იპოვა კიდეც. თვინიერ?!

— მე უნდა დავფეხმძიმდე!.. — ჩურჩული დასცდა ძლივსგასაგონი ბაგეთა თრთოლვით.

— შენგან არცა ეგ გამიკვირდების, იქმენ!

— ო! კერპო ირაო! შენ ხედავ? ჩემი ტყვე დევს ვითარცა გუამი გუადრუცსა. ვიეთთა კერპი-ირაო ხისგან ნაჩორგნი! მე გამოუცდელი ამორძალი რარიგ დავფეხმძიმდე უმამროდ?!

ვაჟს ღმუილი დასცდა! ეძგერა. ისე ძლიერად ჩაიკრა, ქალწულს საკუთარი ძვლების ტკაცუნი ესმა: — მოიცა! ნუთუ გუემა გვამისაი, მუღურობაა. ეგრევითარი იგიცა სავალალოი, უთუო არს? მე მწადს ნერბვაი, ვოჟო უსიერო!

ვაჟი ბაგეზედ დააცხრა. მაღრჩობსო. შურს იძიებსო უთუოდ სისხლისას. გაიბრძოლა. მერე ეამა ბაგეთ ლამუნი. მერე თავადაც ეამბორა, ყრმისა სულისა სრუტნად იქცა: ძლიერისა, მყოობადისა! უებროისა! კიდევ კიდევ. მერე გონი მოიკრიბა, სიამეს თავი წაართვა და უმალ იკითხა: — უკეთუ წინადაცვეთილ არ ხარ, განმერიდე!.. განდექ! შეისმინე, ორთავ დაგვკვლიან! მოიცა! შეჩერ.. — გოგოს შეკივლება აღმოხდა. ჯერეთ ემწუავა, მერმედ თბილი ჟრუანტელი წაესია, რომელმან ცხადლივ ყოველი დანისლა და სადღაც შორეთს სიამისა ოკეანესა ჩასძირა, აათრთოლა. ის სიკვდილმოქადნე გონწარტაცულ ალერსად იქცა, ბაგედ ღიმი თრთოლადი მგზნებად ალმურს გაეპო!

სადღაც შორეთს, ზღვის ნოტიო ჰაერში ვერცხლის საყვირი ასოსრა აყივლდა. გოგო წამოიჭრა, სანაპიროს გახედა ამღვრეული თვალებით. მიდიანო, წაიჩურჩულა და დაწოლილი ვაჟის წინარე ჩაიჩოქა. ათასი უტრიალებდა ფიქრი.

კვლავ დააცხრა, კვლავაც თრთოლებად იქცა. სიამედ დაიღვარა. ვერა და ვერ ელეოდა: — მუნ ქალკოდონტს წამართმევენ, წამართმევენ შენ თავსა, მთებში გავიქცეთ, მიუვალი მღვიმენი მეგულვის. — მერმედ ერთიანად დაოსებული მის მკერდზე მიესვენა. თვალნი რომ მიელულა, ჩამეძინება, ტყე გამექცევაო. ხელები წელზე მოხვია. სანამ ჩაეძინებოდა, რა გქვია, ვაჟოო, ჰკითხა!

— შენა?

— ინაგა...

— ინაგა, მტრედი ველური. მე ბაბამან, გულდამ მარქვა.

ქალწულს ძილისა ღმერთი ნანა დაუფლებოდა, მაინც იჩურჩულვიდა იდუმალსა სალოცავზე: — გულდამ... ყრმაო, სულ მცირე ხანითაც არ გაგანათხოვრებ, არა.

— ტყვეი ცხო?

— წყეულიმც იყვე, ყველა ერთად!

— ჰოო? ოდენ მავანმან გთხოვა გულდამ ვაჟი დასაფეხმძიმებლად, შენ ინაგა გოგოვ.. ათხოვებ?

— არა! არა!!! არრრრა!

— რომ გაგეპარო?

— მოგკლავ, იმასაც, ქალწულსაც!

ო, კერპებო! შენ, გულდამ, ახლა იტყვი რომ ეგე არს მიჯნურობაი?.. შენ ნიჟარა ხარ და მე გპოვე ზღვით გამონარიყი! ცხომან იპოვოს ცხო!

— ინაგა გოგო... მისმენდე. შენ იმად არ გემეტები, რომ ამ დუნიაზე ერთ მამრს ერთი ეგების მდედრი, ვიეთთა თვალთა შენთა სხვასა ვერ სჩუქნი. ხოლო ოდეს მოგიკვდეს იგი, თავი შენი რომც არ მოიკლა, სული იმას აედევნების, წელი ერთი და, სული მოსიყვარულესი მიყვების მეუღლისასა თვისასა საიმქვეყნიო სამსახურებად! სამხრეთელთ ერთს ათრ, ასიც ჰყავთ ცოლი. ეგების კანონნი მათნი უფრორე გხიბლავდეს!

— არა!!! — წამოიკივლა ქალწულმან... გულდამ, რად არ ეგების მარად იდგეს დიადი გაზაფხული?! — თუ შენ აროდეს გაშორდები შენსა გულდამს, მარად ილვივებს შენთვის მარადი გაზაფხული!



საქართველოს ეროვნული ბიბლიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პირველი სასწაული

ერთხელ იესო ქრისტე დედასთან და თავის მოწაფეებთან ერთად ქორწილში იყო მიწვეული კანა ქალაქში, რომელიც ნაზარეთის ახლოს მდებარეობდა.

ლხინის დროს მასპინძლებს ღვინო გამოელიათ და ძალიან შეწუხდნენ. ღვთისმშობელმა შეამჩნია მათი დაბნეულობა და ჩუმად უთხრა იესო ქრისტეს: „ღვინო აღარა აქვთ“.

მან იცოდა, რომ ქრისტეს შეეძლო დახმარებოდა და დაეხმარა კიდეც. უფლისგან მინიჭებული ჰქონდა ისეთი რამ, რასაც ვერ შეძლებდა ვერც ერთი ადამიანი.

ეს იყო ქრისტეს მიერ მოვლენილი პირველი სასწაული და მისი სახელი განითქვა მთელ ქვეყანაზე.

წყალი ღვინოდ იესომ გადააქცია ღვთისმშობლის თხოვნით, რომელმაც შეწუხებული მასპინძლები რომ დაინახა, მოისურვა დახმარებოდა მათ. თავისი დედისადმი სიყვარულის გამო იესო ქრისტე უამრავჯერ ასრულებდა და ასრულებს, მისი შუამდგომლობით, მორწმუნეთა თხოვნებს.



იქვე, ოთახში, სადაც ილხენდნენ, წყლის შესანახი ექვსი დიდი ქვის ჭურჭელი იდგა. ქრისტემ უბრძანა მსახურებს, რომ პირთამდე აევსოთ ეს ჭურჭლები წყლით. როდესაც წყლის ჭურჭლები წყლით აავსეს, იესო ქრისტემ უთხრა: „გაავსეთ სასმისი და მიართვით ლხინის გამრიგეს. დეე, გასინჯოს“.

მსახურებს გაუკვირდათ, მაგრამ შეასრულეს ქრისტეს ბრძანება. მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლხინის გამრიგემ სასმისიდან მოსვა და ნახა, რომ წყალი კი არა, შესანიშნავი ღვინო იყო და ბრძანა ყველა სტუმრისათვის შეევსოთ სასმისები.

ყველა სვამდა და აქებდა ღვინოს, ხოლო როცა მსახურებისგან გაიგეს, თუ საიდან გაჩნდა ეს შესანიშნავი სასმელი, მიხვდნენ, რომ იესო ქრისტეს კანაში მომხდარი სასწაულის შემდეგ იესო ქრისტეს უამრავი ხალხი დაჰყვებოდა თან, რომელთაც სურდათ ეცქირათ და მოესმინათ მისთვის.

## დავრდომილის განკურნება

ერთხელ, როდესაც იესო კაპერნაუმში იმყოფებოდა, სახლის ირგვლივ, რომელშიც იგი შევიდა, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ამ დროს მოიყვანეს ერთი დამბლადაცემული კაცი, რომელსაც თითის განძრევაც კი არ შეეძლო. რადგანაც შესასვლელი ხალხით იყო გაჭედილი და ავადმყოფის შეყვანა კარებიდან არ მოხერხდა, ჭირისუფლები ავიდნენ ბანზე, დაარღვიეს სახურავი და დამბლადაცემული თოკებით ჩაუშვეს იესოს ფეხებთან.

ასეთი რწმენა რომ დაინახა, იესომ, უთხრა დამბლადაცემულს: „შვილო ჩემო, მოგეტევება შენ ცოდვები, ადექი და წადი სახლში“, ავადმყოფმა მაშინვე იგრძნო, რომ დამბლამ გაუარა, ადგა, თაყვანი სცა ქრისტეს და ღმერთის დიდებით სახლისკენ გაემართა.

ბრბომ, რომელმაც ახლახან უმოძრაო იხილა იგი, გზა დაუთმო და გაატარა. სასწაულით განცვიფრებული, ყველა ღმერთს ადიდებდა და მრავალმა იწამა იესო ქრისტე, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, განსაკუთრებით ფარისეველთა შორის, რომელთაც არ უნდოდათ ერწმუნათ. მრავალი სასწაულის შემდეგაც კი. ისინი აღშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ ქრისტე შაბათობით კურნავდა ავადმყოფებს, როცა, ძველი კანონების მიხედვით, არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. ისინი იბოღმებოდნენ იმის გამო, რომ ქრისტეს ღარიბებთან ჰქონდა ურთიერთობა, რომლებიც მათ ეზიზღებოდათ. მეგობრებმა გააფრთხილეს იესო; ზოგიერთმა ფარისეველმა მოილაპარაკა და შენი მოკვლა სურთო. მაშინ იესო თავის მოწაფეებთან ერთად იუდეიდან გალილეაში გადავიდა. იქ მან თავი მოუყარა ყველა მოწაფეს და მათგან თორმეტი ამოირჩია, რათა საქადაგებლად გაეგზავნა ისინი. მათ მოციქულები ეწოდებათ.

მოციქულად აირჩიეს: ანდრია და სიმონი, იაკობი და იოანე — ზებედეს შვილები, ფილიპე, ბართლომე, თომა, მათე, იაკობი, იუდა, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...და სიყვარული უკანასკნელი

შეიძლება მაშინ გეწვიოს, სულ რომ არ ელი; დაუკითხავად შემოაღოს გულის კარი მაშინაც, როცა ახალგაზრდობას ვერ დაახვედრებ. თურმე სიყვარულის გამეორება შეიძლება, — ასე ფიქრობს ქალბატონი ნინო დადიანი, რომელსაც ბედმა ორი დიდებული ადამიანის მეუღლეობა არგუნა და ორივენი ამერთებდნენ.

შემოდგომის ასაკში იგი დიდი მწერლის, შალვა დადიანის მეუღლე გახდა და მის ცხოვრებას სილამაზე, მყუდროება შემატა.

ნინო გიორგის ასული გახლავთ ჭიათურის ქვის მრეწველის გიორგი გუჯეჯიანის შვილი.



შალვა დადიანი და ნინო გუჯეჯიანი-დადიანისა

დედას, ანა წერეთელს მის გარდა კიდევ ექვსი შვილი ჰყავდა. უფროსი ნინო იყო. ფუფუნებაში იზრდებოდა. სწავლობდა ქუთაისში, ტრიალებდა მაშინდელ მოწინავე საზოგადოებაში, ახლოს იცნობდა ოლია ოკუჯავას გალაკტიონის პირველ მეუღლეს. 16 წლისამ სწავლა უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძო. გაიცნო მომავალი მეუღლე, ფინანსისტი და ვექილი — ალექსანდრე წულუკიძე. ორი ვაჟი შეეძინათ.

დედულეთში ნინოს და მის და-ძმებს მამამ ცალცალკე სახლები აუშენა. ნინოსთვის შვილებთან ერთად იქ ჩასვლა ბედნიერება იყო, მაგრამ... ყველაფერი დაჰკარგეს და 1924 წელს მამაც დახვრიტეს.

დარჩა ექვსი და-ძმა ნინოს იმედით. კეთილშობილებამ უკარნახა ცოლქმარს ყველანი თბილისში ჩამოეყვანათ. მათ გარდა ოჯახში ახლო ნათესავის კიდევ სამი ბავშვი ცხოვრობდა.

ბედნიერი იყო ნინო, რადგან ღირსეული მეუღლის შარავანდედი მასაც სწვდებოდა. ბატონი ალექსანდრე ის კაცი გახლდათ, ვინაც თავად გადაიტანა საფრანგეთში გასაგზავნი საქართველოს განძეულობა საზღვრამდე.

როცა შვილები დაიზარდნენ და მშვიდად უნდა ეცხოვრათ, მეუღლე ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. შემდეგ, 1944 წელს ორივე ვაჟი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, ქართველი ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად მაგადანზე გადაასახლეს.

დარჩა მარტო ქალბატონი ნინო. მდგომარეობას ახლო ნათესავები და მეგობრები უმსუბუქებდნენ. ყველას ახსოვდა მათი ოჯახის სიკეთე. შეჭირვებულ ქალს, დიდ მზრუნველობას უწევდა ოჯახის მეგობარი ბატონი შალვა დადიანი. მზრუნველობას თანაგრძნობა მოჰყვა. ორივენი მარტონი იყვნენ დარჩენილნი, თანაც მეზობლად ცხოვრობდნენ. მოხდა ისე, რომ პატივისცემა გრძნობაში გადაიზარდა, ცალ-ცალკე ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა, ჰერი გაიერთიანეს...

მხოლოდ ათი წლის შემდეგ დაბრუნდნენ შვილები, რომლებზეც მთქლი ამ ხნის განმავლობაში მამასავით ზრუნავდა ბატონი შალვა. მისი მხარდაჭერა აძლებინებდა მათ იმ შორეულში.

თოთხმეტი წელი იცხოვრეს ერთად ნინომ და შალვამ და უსიყვარულოდ ერთი დღეც არ გასთენებიათ. მხოლოდ ტკბილი სიტყვა ამოსდიოდათ პირიდან. ეს წლები ქალბატონ ნინოსთვის საინტერესო შეხვედრებისა და გაცნობის წლებიც იყო. ქმრის მეგობრები — მწერლები, მსახიობები, კომპოზიტორები, მხატვრები, რომლებიც სტუმრად მოდიოდნენ, იხიბლებოდნენ ამ ქართული ოჯახის ტრადიციებით, სტუმართმოყვარე დიასახლისით.

ბატონი შალვა მრავალმხრივი პიროვნება გახლდათ — მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, ბელეტრისტი, მოგონებათა კრებული „რაც გამახსენდა“ მწერალმა ნინოსთან ერთად შექმნა. ამ დროს ბატონი შალვა 84 წლისა იყო, წერის დროს ხელი ეღლებოდა და ამიტომაც წიგნზე მუშაობისას ნინო ყოველთვის გვერდით ეჯდა, მის ნაკარნახევს იწერდა.

წიგნი ძალზე შთამბეჭდავი გამოვიდა. მასში აღწერილია ბატონი შალვას ბავშვობისა და სიჭაბუკის ამბები, მსახიობობა თუ მწერლობა. ავტორი იხსენებს ყველას, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონია. წიგნის ღირსება ისიც არის, რომ მასში ბევრი ჩვენთვის უცნობი პიროვნებაა წარმოჩენილი, აღწერილია მე-19 საუკუნის მიწურულის და მე-20 საუკუნის საქართველოს ყოფა, ზნე-ჩვეულებები.

ავტორი წიგნის დასასრულს აღნიშნავს:

„რაც შეეხება იმ წვალებას, რაც ჩემ გამო ჩემმა მეუღლემ ნინა გეორგევნამ (ახე ვეძახი) ჩემი ნაამბობის ჩაწერით განიცადა, ვთხოვ მის სულგრძელობას, მომიტეოს“.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი ნინო მის ხსოვნას ფაქიზად ინახავს. უშალვოდ აღნიშნა ორი იუბილე (90 და 100 წლისთავი), მისი უნიკალური ბიბლიოთეკა, პირადი ნივთები და არქივი უსასყიდლოდ გადასცა ლიტერატურის მუზეუმს. მასზე ახლობელი შალვა დადიანს არავინ დარჩენია. ოთხმოცდათორმეტი წლის ქალბატონი ნინო, საბედნიეროდ, ჯანმრთელადაა და თავისი სიცოცხლით მეუღლის სიცოცხლესაც აგრძელებს.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა, მოფენილი ბარიერებით...

უკვე რამდენი დღეა გონებიდან არ მშორდება მათი სახეები. ფიქრი სხვაზე გადამაქვს, განა ცოტაა საფიქრალი, მაგრამ მაინც მათი ხმა ჩამესმის...

რვა წლის წინათ გოგობერიშვილების ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. თვრამეტი წლის ზაზა კლდიდან გადავარდა და ხერხემლის მძიმე ტრავმა მიიღო...

ისნის რაიონში, ბადიაურის ქუჩაზე გოგობერიშვილების ბინის ძებნისას, ერთ ლამაზად თმადავარცხნილ, კოხტად ჩაცმულ ქალბატონს შევხვდი. თვალებში იმხელა დარდი და ტკივილი ამოვიკითხე, მივხვდი, სწორედ ის იქნებოდა ზაზას დედა...

## დედა

— ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ არანაირი გაჭირვება არ დამკლებია — თქვა ქალბატონმა ნუნუმ.

1977 წელს მეუღლე ავტოკატასტროფაში დამეღუპა და ოჯახის მთელი სიმძიმე დამაწვა მხრებზე. ორ შვილს ისე ვზრდიდი, არავინ დამხმარებია. ზაზა რომ წამოიზარდა, ვიფიქრე, ახლა კი წამომეშველება-მეთქი და სწორედ მაშინ მოხდა უბედურება. წუთით არ მოვშორებივარ ზაზას საწოლს, მთელი ოჯახი საავადმყოფოში ვცხოვრობდით. ჩემი უმცროსი გოგონა სკოლაში საავადმყოფოდან დადიოდა. ზოგიერთი დედა პალატიდან გამორბოდა, შვილის საცოდაობას ვერ ვუყურებო. არცერთ პროცედურაზე მარტო არ შემიშვია.

მე და ზაზა ერთმანეთს ვაცოცხლებთ. ის არის ჩემი ტკივილიც და შვებაც, ჩემი სიხარულიც და დარდიც. სწორედ დედა-შვილობის სიყვარულმა გადამატანინა ყველა ის სიძნელე და დამცირება, რაც კი ამ რვა წლის მანძილზე შემხვედრია. ცხოვრებაც როგორ აირია. ხალხს ისე აქვს ნერვები დაჭიმული, სხვისი გასაჭირის მოსმენაც არ შეუძლია, დახმარებაზე ხომ...

ახლა იმ ქალის გულშიც ჩაიხედეთ, ვისაც ინვალიდი შვილი ჰყავს მოსავლელი. ინვალიდებს განსაკუთრებული სითბო და სიყვარული სჭირდებათ. მათ ფსიქიკაში ღრმად ჩაწვდომა კი, ბევრს არ შეუძლია. ზაზა უცებ ღიზიანდება. ყველაფერს ვუთმენ, მაგრამ მეც ხომ ადამიანი ვარ. მეც ხომ მაქვს ნერვები, ამ რვა წლის მანძილზე დაფლეთილი. ჩემი ცხოვრების გზა თითქოსდა დაუძლეველი ბარიერებითაა მოფენილი. ხშირად, ყოველდღიურობით გაწამებული, ისეთ ხასიათზე ვარ, სიცოცხლეც არ მინდა. ხანდახან ზაზას რომ შევეკამათები, შემდეგ ვიტანჯები, ამჯერადაც უნდა დამეთმო-მეთქი. ზაზას ხომ ჩემზე მეტად უჭირს.

ბიჭი უზომოდაა სიცოცხლეზე შეყვარებული. მის ადგილას ბევრი ხელს ჩაიქნევდა და ბედს მიენდობოდა. სწორედ სიცოცხლისადმი ლტოლვამ შეაძლებინა ზაზას სიარული. ხელჯოხით დადიოდა. იმედი მომეცა, მაგრამ თურმე მთავარი განსაცდელი ჯერ კიდევ წინ გვქონდა.

1988 წლის ნოემბერში რუსთაველის გამზირზე ზაზას სამი ბიჭი აეკიდა. შენ ინვალიდი კი არა, აფერისტი ხარ. ჩამოდი მაგ „ტაჩკიდან", ახლა ჩვენ უნდა „ვიკატაოთო". ისე უმოწყალოდ სცემეს, კინაღამ მომიკლეს. მშველელიც არავინ გამოჩნდა...

იმ ამბის შემდეგ ექვსი თვე საავადმყოფოში იწვა. ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიხდა. ახლა უეტლოდ ვერ დადის.

ინვალიდს თავისი, ყველასაგან განსხვავებული მიკრო სამყარო აქვს — ტკივილიანი, პრობლემებით სავსე. სამწუხაროდ, ჩვენში არავინ ფიქრობს, შეუმსუბუქონ მძიმე ცხოვრება. ინვალიდთა ასოციაციაც უსუსურია. ინვალიდის ბედი მთლიანად მის ოჯახზეა დამოკიდებული. მე, რაც შემეძლო, არ დამიკლია შვილისთვის. ყოველწლიურად ყირიმის, მოსკოვის, ჩეხოსლოვაკიის სანატორიუმებში დამყავდა.

ყირიმში ყოფნისას გაიცნო მარინა. ქალიშვილს გრიპის შემდეგ მოძრაობის უნარი დაჰკარგოდა. მალე დაახლოვდნენ. მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და შეუღლდნენ კიდეც. ნათესავებმა მხარში ამოდგომის მაგიერ მწარე სიტყვები გამაგონეს, ერთი ინვალიდი არ გეყოფოდა, მეორე რომ მოიყვანე სახლშიო? მე სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. განსაკუთრებულად უყვართ ერთმანეთი, თითქოს სხვა ენაზე ლაპარაკობენ, კარგი გოგონაა. შესანიშნავად კერავს, ქსოვს. ზაზას ძირითადად მის › შეკერილი და მოქსოვილი აცვია.

ჯოხის კაკუნის გაგონებაზე გული მიკვდება. შეიძლება არც დამიჯეროთ, მარინე ზაზაზე მეტად მეცოდება. ოჯახში ქალის ტვირთი გაცილებით მძიმეა. რაც შემიძლია, ვეხმარები, მაგრამ როცა შინ არა ვარ, მარინასაც უწევს საქმის გაკეთება. აბა, წარმოიდგინეთ, ცალი ხელით ჯოხზე დაყრდნობა და მეორე ხელით საქმის კეთება. ხშირად ეცემა. ხან შუბლი აქვს დალურჯებული და ხან ტუჩი გახეთქილი. არა და რა ვქნა. ბაზარშიც მე უნდა წავიდე. პურის რიგშიც მე უნდა დავდგე.

ზაზას და მარინას გამოჯანმრთელებისათვის გერმანიაში მკურნალობაა აუცილებელი, რისთვისაც დიდძალი თანხაა საჭირო. ამ მიზნით, მათ სახელზე ბანკში ანგარიში გავხსენი. ყველანაირ დამცირებას ვიტან. სად არ მივდივარ ფულის სათხოვნელად.

ერთხელ ანგარიშის ნომრის გამოსაცხადებლად ტელევიზიაში მივედი და თანამშრომელს ვთხოვე, განცხადების მშრალი ტექსტი ცოტათი მაინც შეეცვალათ. იცით, რა მიპასუხა? ხალხის გულის აჩუყება რად გინდათ. ვინმეს თუ სურვილი აქვს, ფულს ისედაც გადმორიცხავენო. ისეთი დამცირებული და ძალაგამოცლილი დავბრუნდი შინ. ასე მეგონა, მეორე დღეს ფეხსაც ვერ გავადგამდი ბინიდან, მაგრამ ზაზას და მარინას მომლოდინე სახეებს რომ შევხედე, ყოველგვარი წყენა გადამავიწყდა. მე მათ ვჭირდები — ეს კი ძალას მმატებს.

ისე გაძვირდა ყველაფერი, თავის რჩენაც კი ძნელია. მარინას და ზაზას 175 მანეთი აქვთ პენსია. ამ თანხით შეუძლებელია არსებობა. მათ კი განსაკუთრებული კვება სჭირდებათ. მე პროფესიით ექიმი-კოსმეტოლოგი და ექსტრასენსი ვარ. შარშან ბორჯომში მიწისძვრით დაზარალებულებს ერთი თვე უსასყიდლოდ ვემსახურებოდი. შენს გვერდით გაჭირვებულს თუ არ გაუწოდე დახმარების ხელი, მაშინ რაღაა ჩვენი სიცოცხლე, გრძნობადაშრეტილი და გულამოცლილი. ამჟამად პენსიაში ვარ, მაგრამ იძულებული ვარ პატენტით შინ ვიმუშაო. ნუთუ ორი ინვალიდის მოვლისთვის არ მეკუთვნის დამატებითი თანხა?

მარინა და ზაზა ყოველდღიურად სამ-ოთხ საათს ვარჯიშობენ. სამი წლის წინათ მეზობლად სარდაფი გამოთავისუფლდა და რაიონის ხელმძღვანელობამ ჩვენს ოჯახს მიაკუთვნა. მაშინ ზაზა ბევრად უკეთესად იყო. აი, შეხედეთ, აქ თითქმის ყველაფერი მისი ხელით არის გაკეთებული. სამზარეულოს ეს კუთხეც ზაზამ ისე მოაწყო, რომ მარინასათვის ყველაფერი ხელმისაწვდომი იყოს — შვილის ნახელავს ეფერება ქალბატონი ნუნუ. — ყველაფერი ეხერხება. ტრენაჟორებიც მან დაამონტაჟა. ვარჯიშს ამათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარინა და ზაზა

სიყვარულზე სიტყვაც არ დასცდენიათ. თუმცა მათი ურთიერთობა ისედაც კარგად ჩანს სრულიად უბრალო ფრაზებიდან.

— მარინა, არ შეგცივდეს, თბილად ჩაიცვი.

მარინაც თავის მხრივ თვალებში შეჰყურებს მეუღლეს და ხშირად ეკითხება.

— რაიმე ხომ არ გინდა, ზაზა?

ისინი სიყვარულმა შეაუღლა და არა გაჭირვებამ. სიყვარული ულამაზებთ ტკივილებით სავსე დღეებს, სითბოთი და სინათლით ავსებს ბნელსა და ცივ ოთახს. სადაც მარინა და ზაზა დროის დიდ ნაწილს ატარებენ.

— ზაზას გაცნობამდე, ყველაფერზე ხელი მქონდა ჩაქნეული. არაფერი მახარებდა. ზაზას სიცოცხლისადმი სწრაფვა მეც გადმომედო. ამ ოჯახში ინვალიდის ეტლით შემოვედი, ახლა კი ერთი ხელჯოხითაც დავდივარ. მომავლის იმედი ყველანაირ ტკივილს მავიწყებს.

— ძალიან მკაცრი ქმარი ვარ, — ეღიმება ზაზას, — მისთვის ჰაერივით აუცილებელია მოძრაობა, მეც ხან რას დავავალებ და ხან რას.

— დღეს ჯანმრთელი რძალი არ უნდა ზოგიერთს. ჩემმა დედამთილმა კი ნამდვილი დედობა გამიწია. ჩვენი ურთიერთობა ბევრ დედა-შვილს შეშურდება. მე მგონი ქალიშვილთანაც არ არის ისეთი გულახდილი, როგორც ჩემთან. ზაზას რომ გავყევი, ჩემმა მშობლებმა ზურგი შეგვაქციეს...

— ისეთ ძალას ვგრძნობ ხელში, ვფიქრობ, მკლავჭიდის შეჯიბრებაში ხომ არ მივიღო მონაწილეობა, — დაძაბულობის გაფანტვა სცადა ზაზამ.

— რასაკვირველია. — დავეთანხმე, — მე და მარინა შენი გულშემატკივრები ვიქნებით.

— რაზან ასეა, აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას, — ამბობს ზაზა. მაგიდაზე პატარა გოგონას სურათები დევს.

— ეს ჩემი შვილია, ანა, — მითხრა ზაზამ და სურათები გამომიწოდა, — ჩემმა პირველმა ცოლმა არ ისურვა ინვალიდ ქმართან ცხოვრება და მიმატოვა...

გოგობერიშვილების ოჯახი მომავლის იმედით ცოცხლობს და თუ როგორი იქნება ეს მომავალი, თითოეული ჩვენთაგანის სულგრძელობასა და სიკეთეზეცაა დამოკიდებული.

უპირველესად დედებს მოგმართავთ. შვილის სიყვარულს აღურიცხავი სიხარული და ტკივილი ახლავს თან. მაგრამ დედას მხოლოდ თავისი შვილის ტკივილები არ უნდა სტკიოდეს და მხოლოდ თავისი შვილის სიხარული არ უნდა ახარებდეს.

მარინას და ზაზას დასახმარებლად გაღებული მცირე თანხაც კი, ჩვენივე შვილებს დაენთება სიკეთის სანთლებად და ცხოვრების გზას გაუნათებს.

თქვენი გულისხმიერების იმედით ვბეჭდავთ ანგარიშის ნომერს:

ისნის რაიონის სოცგანვითარების სააქციო კომერციული ბანკი.

ქეთევან წამებულის ქ. № 62

კოდი: 521716

შემნახველი ბანკი: 8524,0188

საანგარიშო ნომერი: 000164401 —

წიგნაკის ნომერი: 8188

მარინე და ზაზა გოგობერიშვილებს.

შეგიძლიათ დარეკოთ შემდეგ ნომერზე: 74-55-06

**მარინე ნაკაიძე**

ავტორის თხოვნით წერილის ჰონორარი გადაირიცხება აღნიშნულ ანგარიშზე.

# გამოგადგება

• • •

მზის სხივები აუცილებელია ბავშვებისათვის. ისინი კლავენ ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს. მზემ ოთახი კარგად რომ გაანათოს, აუცილებელია სუფთად იქონიოთ ფანჯრის მინები, დილით გასწიეთ ფარდები, ოდნავ მტვრიანი მინა 30 პროცენტით აკავებს შუქს, ჭუჭყიანი კი — 70 პროცენტით.

• • •

გაყინული ხორცი რაც უფრო ნელა გალღვება, მით უფრო ნაკლებ წვენსა და სასარგებლო ნივთიერებებს დაკარგავს. უმჯობესია ხორცი ისევ მაცივარში გაალღვოთ — მოათავსეთ ქვაბში და სველი ტილო გადააფარეთ.

თუ ხორცს ჩქარა გაალღობთ, დატოვეთ ოთახის ტემპერატურაზე 2-3 საათით. ცხელ წყალში, ან ცხელ ადგილზე მოთავსება დაუშვებელია. წვენის დანაკარგების შესამცირებლად ხორცი გალესილი დანით დაჭერით.

• • •

მოხარშული კარტოფილი გემრიელი იქნება, თუ ხარშვისას ქვაბში ჩააგდებთ 2-3 კბილ ნიორს და დაფნის ფოთოლს.

## № 8-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 7. ჩახავა. 8. გვარლი. 9. ხუნამო. 11. ქოთარა. 12. ნიამეი. 13. საცერი. 14. მალაყი. 17. აკაცია. 20. ბულა. 22. აგრაფი. 23. აპათია. 25. არსი. 26. სტადია. 30. ბათანი. 33. ვენაძე. 34. ომიაძე. 35. როკოკო. 36. ნიანგი. 37. ბრამსი. 38. ძირულა.

**შვეულად:** 1. შალითა. 2. სალათა. 3. ვასასი. 4. „აგონია". 5. სახარა. 6. ელფერი. 10. აზეულა. 15. „ლამარა". 16. ყაბაყი. 18. ქვაწია. 19. ცვირკა. 20. ბაია. 21. აგნი. 24. არენდა. 27. ტომარა. 28. დრაქმა. 29. ავენიუ. 30. ბერიძე 31. „ოსკარი". 32. ნიკელი.

# „წავიღე შექსპირის სონეტები



მინდა მადლობა მოვახსენო ქალბატონ **ნათელა გრიგალაშვილს**, რომლის უშუალო ხელშეწყობით გავეცანი დღიურებს. ეს ფოტოც ხომ მან გადაიღო.

ამ წერილში თითქმის არაფერი ხდება, თუმცა... მეტი რაღა უნდა მოხდეს. მასში ერთი ჩვენებური ქართველი ქალის მთელი ცხოვრებაა, სავსე იმედით, გაჭირვებით, დარდით, პატარ-პატარა სიხარულით, იმედის გაცრუებით, ცხოვრება — უფერუმარილოდ, შეულამაზებლად, ჟურნალისტის ფანტაზიის ჩაურევლად. ისე, როგორც იგი შეიგრძნო თვითონ ქალბატონმა მარიამმა იმ დროიდან, როცა მისი სოფელი ქაშუეთი ხაშურის რაიონში ხალხმრავალი, ჭრელი და ხალისიანი იყო, თვითონ კი — იმედით მომზირალი ქალი იმ დრომდე, როცა 70 წლისა სოფელში მარტოდმარტო დარჩა. ახლა თვითაა სოფელი. სანამ მარიამის კარ-მიდამოში სიცოცხლის თვალი ტრიალებს, სოფელს ნასოფლარი არ ეთქმის.

ცოტაა?

ჩვენი ნაცნობობა მარიამთან მისი დღიურებით დაიწყო. უპრეტენზიო რვეულებით, რომელმაც ლამის მთელი ცხოვრება დაიტია.

„ვწერ ამ რამეებს, რომელთაც ოდესმე ცეცხლში დაწვა მოელით, მაგრამ არა მგონია, გავიმეტო“. გამეტებით კი მართლა ვერ გაიმეტა, რადგან იქნებ გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან მის დღიურებს მკითხველი გამოუჩნდებოდა.

თითქმის ყოველი დღის ჩანაწერი აქვს. ერთი შეხედვით წვრილმან ამბებსაც არ ივიწყებს. ზოგჯერ ფურცელსაც ვერ უმხელს საიდუმლოს, მაგრამ სტრიქონსა და სტრიქონს შუაც იკითხება ბევრი რამ.

1957 წელი. „მიდის ცხოვრება ჩვეულებრივად, წინ, ზოგისთვის ბედნიერად, ზოგისთვის — უბედურად. ჩემთვის არც იქითაა, არც აქეთ“.

მხიარულია და სიცოცხლით სავსე. ჩანაწერებში ხშირად გაიელვებს ფრაზა: „ვიცინეთ ბევრი“.

მასწავლებელია. ასწავლის სიმღერას, ხელგარჯილობას, რუსულ ენას და ლიტერატურას.

სკოლა მისი ცხოვრებაა. თანამშრომლები, მოსწავლეები, გაკვეთილები...

გიტარასაც ხშირად აჟღერებს და მღერის.

ბუნებით მხიარულს დარდი თუ საზრუნავი არ უნდა ჰქონდეს. მისი უნაპირო სიყვარული ყველას და ყველაფერს იტევს: ბალახიდან ცამდე. და უცებ, თითქოს მოულოდნელად, სულის წამლები სევდა. „ჩემი ოთახის კედლებია დედაც და მამაც, ძმაც და შეყვარებულიც. ვზივარ მარტო, მე ხომ მაინც მარტო ვარ“.

სევდამ კი თუკი ერთხელ დაგრია ხელი, მერე ძნელად თუ დაეხსნები. და აი, დღიურში გაკრთა სევდის მიზეზიც:

„მხოლოდ ერთი ჩამივარდა გულში, მის სიყვარულს ველარ გადავურჩი. სად არის იგი, ვისთანაა ახლა... ვინ იცის, ვისთან დაქრიალებს. მე კი აქ მეტანჯება გული. ეჰეი, სად ხარ, ბედო, სად?“

თავის ოცნებას ოხვრით ამოთქვამს: „ნეტავი, როდის მექნება საკუთარი ოჯახი, თავისუფალი და ჩემი“.

დრო მიდის.

მაჭანკლებმა გული შეუწუხეს. შინაურებმაც მოუხშირეს გათხოვებაზე ლაპარაკი. თვითონ კი... „ჩემი ღარიბი ოჯახისა და თითქმის გამქრალი ქონების პატრონს, რომელ გათხოვებაზე მელაპარაკებიან. საიდან რა უნდა მოიტანონ? 400 მანეთი ვალია კოლექტივისა... სახლში ლუკმა პური გენატრებოდეს და დედაჩემმა, თავი დაიფასეო“.

თბილისში მიდის კურსებზე ერთი თვით — ეს მოვლენაა მის ცხოვრებაში. ქალაქშიც აგრძელებს დღიურის წერას. ახალი მეგობრები ავტოგრაფებით და ლექსებით ავსებენ ფურცლებს. დადის თეატრში, უფრო ხშირად — კინოში.

გულით უხარია სოფელში დაბრუნება.

# და წავიყვანე ლორები“

გაწაფული ხელით ბავშვებისათვის ათასგვარ სათამაშოს აკეთებს ფერადი ქაღალდებისაგან. ქსოვს სურათის ჩარჩოებს, საჩუქრად ურიგებს მეგობრებს.

კვლავ სკოლა, თანამშრომლები, ხან ერთთან შეიკრიბებიან და ხან მეორესთან. მერედა, რა მოლხენა იციან... „შეისვა სადღეგრძელოები. კოლიამ სკოლის მოამაგე მიწოდა. რატომღაც ჩემი სადღეგრძელოს გამო იმღერეს „გინდ მეძინოს“.

ქალია მაინც. ჩვეულებრივშიც უნდა იდუმალი დაინახოს.

საქმე ლაზათიანი იცის: „ლამაზი პურები დავაცხე. ძალიან მიყვარს პურის გამოცხობა თონეში“. ბევრს კითხულობს, დროს ტყუილად არ კარგავს. ისევ გულუბრყვილოა, „კითხვისას ხან მეცინება, ხანაც ცრემლები მომადგება თვალებზე.“ და უცებ გასაოცარი ფრაზა: „წავიღე შექსპირის სონეტები და წავიყვანე ლორები“... ლორების სამწყესურში რაღაც „ეო-მეოს“ დონის ლექსები კი არა, შექსპირის სონეტები მიაქვს. „შავგვრემანი ლედისადმი ტრფიალი ხიბლავს და გულს უფორიაქებს.

ისევ ოცნება, ჯერჯერობით აუხდენელი. „შინდა მხოლოდ მასთან, ვინც მე მსურს, სხვასთან-არავისთან. ვინ მსურს მე, ეს კი ძალიან დიდი საიდუმლოა და ბუნების ძალის მეტმა არავინ იცის“.

ხელსაქმეც ემარჯვება. „დავჯექი და ვკერე, თეთრეული დავაუთოვე; ცხვირსახოცები ამოვქარგე?. მაინც რა ხელი აქვს! ხან ვინ სთხოვს საკაბის დაჭრას და შეკერვას, ხან ვინ. თავისთვისაც ხშირად იკერავს. მაისის თვეში „სკოლაში წავედი ყაყაჩოსავით წითელი კაბით“.

დრო მიდის.

ჯერ მაინც ახარებს ყაყაჩოსფერი კაბა.

ბუნებაზეც ხშირად წერს. „ნამდვილად გაზაფხულის თბილი დილაა, მოწმენდილი ცის კიდეები, წითლად შეფერადებული. ჩიტებიც საამურად აჟღურტულდნენ“, ან „მთელი დღე ბუტიაობაში გაატარა ამინდმა“.

თითოეულ დღეს სულიერივით ეჯიბება, ესიყვარულება და ეთხოვება: „მშვიდობით, 1958 წლის ივნისო. შენ აღარ მოხვალ“.

1954 წელი. უკვე მამიდაა. მალიმალ ეფერება პატარებს. „ენაცვალოს მამიდა ჩემს ჭიკჭიკა შვილებს“. ძმები ხაშურში გადასულან საცხოვრებლად. დას ხშირად აკითხავენ და ეხმარებიან, თუმცა უმეტესი სიმძიმე მაინც მას აწევს მხრებზე.

„ვენახი ავაკარი. ვთოხნე კიდეც. ეს მუშაობა ძალიან მშველის, თორემ მოვკვდებოდი. ისევ ძველებურად ვმუშაობ და საქმეც ბევრი მაქვს“. სკოლიდან დაბრუნებული ცოტას წაიხემსებს თუ არა, მაშინვე ვენახს ან ბოსტანს მიაშურებს. ხანდახან გადაქანცული წვიმას ნატრობს. ნაწყენია შინაურებზე. „გულს უნდა მიკეთებდნენ თუ მაბრაზებდნენ? ლამისაა მოჯამაგირე დამიძახოს ხალხმა“.

ისევ ურჩევენ საქმროებს. ახლა უკვე ნაცოლარს, შვილიანს ან ფიზიკურ ნაკლიანს. „ოლამ მითხრა, მირიანს გაყევი ცოლადო. ძალიან მეწყინა, ოთხი შვილის მამა ამიჩინა“. დრო მირბის. მიაქვს ახალგაზრდობის წლები. უკვე აღარ შეუძლიან მარტო დარჩენა საიდუმლოსთან, ბუნების ძალის მეტმა რომ არავინ იცის. „თამარას გავანდე ჩემი ყველაზე დიდი საიდუმლო. ეს ხომ გუშინდელი სურვილი არაა, უკვე 11 წელია. ვნახოთ, რა მოელის ჩემი სურვილის გამჟღავნებას. იგი მისი შორეული ნათესავი ყოფილა“.

საქორწილოდ ცოტა ფულიც აქვს გადანახული. წლების მომატებასთან ერთად უფრო გულახდილი ხდება: მისი კდემამოსილება ცოტა უჩვეულოცაა ჩვენი დროისათვის: „ჰოი, ღმერთო სასწაულო! მე მის მანქანაში, მის გვერდით დავჯექი. ეს იყო ჩემი ახდენილი ოცნება“.

1965 წლის 13 დეკემბერი. „ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში“. მეზობელს უკითხავს, მართლა თხოვდებიო და სწორედ ის დაუსახელებია, ვისზეც დღედაღამ ოცნებობს. სიხარულით ივსება, თუმცა მომავლის გაურკვევლობა აღარდებს. „როდემდის უნდა იცადო და იოცნებოო, — მსაყვედურობენ. მე ასე მირჩევნია-მეთქი.“ ურჩევნია კი?

და მიანც, მის ყოველდღიურობას გაუცნობიერებელი ხიბლი აქვს. ჰამიდვრის, რეჰანის, კომბოსტოს ნერგებს ხშირად ეძებს, ყატის ჩითსა და ლამაზ ბამბაზიას — იშვიათად ისიც ძმისშვილების „მზითვად“. დადის სოკოზე, ხლმარტლზე, შინდზე, ისევ მწყემსავს ლორებს. ხშირად გააწყობს ხოლმე კირკათოხს. კინოში დადის, უფრო მეტად მარტო.

უკვე იშვიათად წერს — „ვიცინეთ ბევრი“. ცრემლი გაუხშირდა.

1969 წელი. გიორგობისთვე.

„გიორგობა იყო და ვერ მოვასწარი ადრე გავსულიყავი დედასთან“. დედის საფლავზე გულამოსკვნილი ტირის, დამშვიდდება და დიდხანს ელაპარაკება დედას, რას არ უამბობს... „საქორწილო შვილებიანი საქმროები ბევრია, მაგრამ არცერთს არ გავყვები. ქვრივი კი არა ვარ. გრძნობა არა მაქვს. გული არა მაქვს. ტანსაცმელი მე არა მაქვს და მზითევი. ვის რაში უნდა ცარიელ-ტარიელი ქალი. მგონი, რომ მოვკვდე, კაბაც არა მაქვს ჩასაცმელი“.

1970 წელი. მამა გარდაეცვალა. დღეებს ახლა მამის წასვლიდან ითვლის. „მე უბედური ვარ და ჩემთვის მზე აღარ გამოანათებს“.

1974 წელი. „ყველა სახლს ანგრევს და სხვაგან მიეშურება. მგონი მალე ამ კონწიალა მთის ვაკეზე სულ მარტო დავრჩე“. ასეც მოხდა. 15 წელია, რაც ქაშუეთის ერთადერთი მოსახლეა. ქალაქთან ახლოს მასაც ჩაუდგეს ძმებმა პატარა სახლი, მაგრამ იქ ერთი ღამეც არ გაუთევია.

„მე, ნაილიმ და კუკურიმ ვიარეთ ერთად. მარო მასწავლებელო, სიყვარული ხომ გამოგიცდიაო. ხომ არ გაგვამტყუნებ ჩვენო. რას ამბობთ, მთელი ისტორიაა-მეთქი. მართლაც, ჩემს ცხოვრებაში ორი ვინმე მომწონდა. ერთი კარგა ხანია ამქვეყნად აღარ არის, და ერთს ყოველთვის ვხედავ, მაგრამ ამ წუთში გული ყინულის ლოდია, რომლის გათბობა არავის შეუძლია. არავინ მითხრას, შენ ბედი გქონდა და არ მოიქეცი კარგადო“...

როგორ დამიბერდა ეს სათნო ქალი. აღარ კითხულობს შექსპირს, ჰომეროსს, ცვაიგს, აღარ დადის კინოში, გულში შიში შეპარვია. „რაღაც მეშინია თითქოს, მაგრამ ვის ავუტირდე. მარტო ვარ და ალბათ მარტო მოვკვდები. არავის იმედი არ გქონდესო. სამკვდრო ფული მოაგროვეო, მითხრეს“.

აფსუს, ჩემო პატიოსანო ქართველო ...ქალო. რა მსახვრალია დრო. აღარ გინდა ხომ ყაყაჩოსფერი კაბა. რას იზამ, დრო მიდის.

მისი ცხოვრება სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ახალგაზრდობიდან სიბერემდე სულ რამდენიმე საათია, როგორც ტკივილიდან სიხარულამდე.

დასანანია მისი აუხდენელი ოცნებები, უპასუხოდ ჩაფერფლილი სიყვარული. განსაკუთრებით კი იმაზე მწყდება გული, რომ ამ მშვენიერი ქალისთვის „დედა“ არავის დაუძახია და საკუთარ შვილებს არ ასწავლა ის აუწონავი სიკეთე, სიყვარული, შესაშური ერთგულება და პატიოსნება, რომელიც თავად ამშვენებს.

თვალსა და ხელს შუა გაუქრა ყმაწვილქალობა — ყაყაჩოსფერი ახალი კაბით რომ მიუხაროდა სკოლაში და სოფელს შვენოდა.

გაზაფხულს ზაფხულიც მოჰყვა, როცა იმედი კვლავ მწიფდა და ღვიოდა, კარს მიადგა შემოდგომა — ჭაღარით, სევდიანი ქარებით, იმედების მწუხარე ჭკნობით და აჰა, ჩამოთოვა და დაუდგა ზამთარი. არ გატყდა ჩვენი თავსაფრიანი დედაკაცი — სოფლის ბურჯი.

ქალბატონი მარიამი ამ ზაფხულს 70 წლის გახდება. ვიდრე ის იქნება, ქაშუეთს უკაცრიელი სოფელი არ ერქმევა.

**მანანა ამონაშვილი**

## რად არ ვიღებ გამოწერილ ჟურნალს?

ყოველწლიურად ვიწერ „საქართველოს ქალს“. წლევანდელი წლის თითქმის ნახევარი გავიდა და შარშანდელი ნოემბრიდან დღემდე არც ერთი ნომერი არ მიმიღია.

1992 წლის ხელმოწერას ისეთი დიდი რეკლამა გაუკეთეთ, მეგონა ყოველი თვის ბოლოს მაღალმხატვრულად გაფორმებული ჟურნალის საინტერესო ნომრებით გავიხარებდი. მაგრამ დღემდე ამაო მოლოდინში ვარ. რეკლამა რომ გამოაქვეყნეთ, მარტო ის ღირდა 18 მანეთი? ხელმომწერლებისადმი ასეთი უყურადღებობა განა შეიძლება?

მიყვარს „საქართველოს ქალი“, მისი მუდმივი მკითხველი ვარ. მეწადა კვლავაც მეხილა თქვენი ჟურნალის საინტერესო მასალები. აბა, გადასაყრელი ფული სადღაა ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში!

იმედი მაქვს ჩემს სამართლიან მოთხოვნას ყურად იღებთ და გულგრილად არ მოეკიდებით.

ქეთო პაიჭაძე

ქუთაისი

## პრესის გავრცელების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქპრესას“ ხელმძღვანელებს

პატივცემულო ბატონებო!

ეს ჩვენი სალანძღავი წერილი, რომელიც თქვენ და საქმეში ჩახედულმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ჟურნალის რედაქციას არაფრით დაუმსახურებია, მხოლოდ ერთია მსგავსი წერილების ნიაღვრიდან. როცა ეს წერილი მივიღეთ (აპრილის ბოლოს) ის-ის იყო სტამბიდან გადიოდა „საქართველოს ქალის“ 1992 წლის მარტის ნომერი. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ სტამბაში უკვე ჩაშვებული იყო არა მარტო აპრილის, არამედ მაისის ნომერიც.

მკითხველისათვის სულ ერთია გაერთიანება „საქპრესა“ (ყოფილი „სოიუზპეჩატია“) დამნაშავე, ექსპედიცია, გამომცემლობა თუ რედაქცია. ის ხელმომწერია და სამართლიანად ითხოვს იმას, რაშიც ფული გადაიხადა.

ნება მომეცით გკითხოთ: რატომ ალანძღვინებთ ჩვენს უდანაშაულო თავს ამ პატიოსან ხალხს?

ეს რომ ერთი და ორი შემთხვევა იყოს, მაშინაც კი ღირდა ყურადღების გასამახვილებლად, მაგრამ ძალიან ხშირი რომ არის? გამოწერილ ჟურნალს სისტემატურად რომ ვერ იღებს ხელმომწერი?

ქალბატონ ქეთოსა და დანარჩენ გულნატკენ მკითხველებს რედაქცია ბოდიშს უხდის სხვათა დანაშაულის გამო და არწმუნებს, რომ რედაქცია მათზე ნაკლებ როდია დაინტერესებული მკითხველმა დროზე მიიღოს ჟურნალი, რაშიც მთელი ჩვენი მონდომება, სული და გულია ჩაქსოვილი. აბა, თუ მკითხველმა დროზე არ მიიღო და წაიკითხა, მაშინ რაღა საჭიროა ჩვენი შრომა? მაგრამ რედაქციას არ აკისრია ჟურნალის თქვენამდე მოტანის ფუნქცია. ეს გაერთიანება „საქპრესას“, ყოფილი „სოიუზპეჩატის“ პრეროგატივაა.

და მაინც იმედს ვიტოვებთ, ბატონებო „სოიუზპეჩატიდან“, რომ წყალში არ ჩაგვიყრით შრომას და ჩვენს ხელმომწერლებს და გულშემატკივრებს გულს არ აუყრით ჩვენზე.

„საქართველოს ქალის“ რედაქტორი ნარგიზა მგელაძე



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
რედაქტორის
99-98-71;
პ. მგ. მდივნის
99-71-68,
ცნობებისათვის
98-96-79.

მასალები გადაეცა ასაწყობად 14. 04. 92. წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 06. 92. წ. ქაღალდის ზომა 60 × 90 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,8. ტირაჟი 63 000. შეკვ. 597.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედაშვილობა ფოტოეტიუდი

# ჩვენს მკითხველებს!

მოყვარული თვალი და გული შეამჩნევდა, რა დიდი ძალისხმევით ცდილობდა რედაქცია შეენარჩუნებინა ჟურნალის ფასი (3 მანეთი, ხელმომწერთათვის — 1 მანეთი და 50 კაპიკი) და თქვენს ისედაც დუხჭირ ბიუჯეტს მისი გაძვირება მძიმედ არ დასწოლოდა. ვცდილობდით, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ძალიან გაძვირდა ქაღალდი, საღებავები.

დღეიდან ჩვენი ჟურნალის საცალო ფასი 5 მანეთი იქნება. ხელმომწერლებს კი ვთხოვთ ივნისიდან „საქართველოს ქალის" ხელმოწერას დაამატონ 9 მანეთი (ე. ი. მათთვის ჟურნალის თითო ნომერი ივნისიდან 1 მან. 50 კაპიკის ნაცვლად, ეღირება 3 მანეთი).

ნათქვამია: მოყვარე გაჭირვებაში იცნობაო.

ვრჩებით თქვენი კეთილი გულის იმედით.

თქვენი „საქართველოს ქალი"

6 69/60.









ინდექსი 76178